გაზეთი ზვერის, „ვერსიის“ ერთი

ვერსია

№9 (1699) 17 — 23 აპრილი ოთხშაბათი 2024 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

18 წლის გოგომ მუშა ფანჯრიდან გადააგდო

„მამაშენმა ფული არ გადამიხადა და რაც დამაკლო, ნატურით მივიღე“

დიდი ფულაობა პოლიტიკაში

გარიგება პოლიტიკურ დემონთან – პოლიტიკის დაცემული ანგელოზების ანატომია

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

ბინები და არასაცხოვრებელი ფართები თბილისსა და ქუთაისში

ანა ნაცვლიშვილის ქონებრივი დეკლარაცია

რა ხარვეზები გამოვლინდა სამხედრო განათლებაში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

პოლიციამ გამოძალვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული ტ.გ. დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჩადენილი გამოძალვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, სხვადასხვა დროს, საზღვარგარეთ მცხოვრები კრიმინალური ავტორიტეტის სახელის გამოყენებით, მოქალაქეებს უკავშირდებოდა და მათ სიცოცხლის მოსპობის, ასევე, ქონების განადგურების მუქარით, დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, 100 000 დოლარს სთხოვდა.

პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში ბრალდებული ტ.გ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავა.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს მობილური ტელეფონი და სიმ-ბარათები, რომელთა საშუალებითაც ბრალდებული მოქალაქეებს თანხის გამოძალვის მიზნით უკავშირდებოდა.

დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჩადენილი გამოძალვის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

ალექსანდრე დარახველიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას, „საქართველოს სტუდენტური პარლამენტის ორგანიზებით“, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები ესტუმრნენ.

ახალგაზრდებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე და აკადემიის რექტორი ვახტანგ გაბრიჭიძე შეხვდნენ.

ალექსანდრე დარახველიძემ სტუდენტებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და მიმდინარე აქტუალური საკითხები მიმოიხილა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა და ახალგაზდრებმა მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილისგან მიიღეს.

სტუდენტები, ასევე, დეტალურად გაეცნენ აკადემიის საქმიანობას და იქ არსებული ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი შვიდი პირი დააკავა, ხოლო ხუთ პირს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში, ქარელსა და გორში, „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი შვიდი პირი დააკავეს.

ხოლო, ხუთ პირს, წარსულში ნასამართლევ 1986 წელს დაბადებულ ვ.ჩ.-ს (მეტსახელად, „ცქნაფა“) და საზღვარგარეთ მყოფ ოთხ „კანონიერი ქურდს“: 1961 წელს დაბადებულ არიკი მიხაელს (მეტსახელად, „იზიკი“); 1981 წელს დაბადებულ ილია გაგლოევს (მეტსახელად, „ილო კალინინგრადსკი“); 1974 წელს დაბადებულ პაატა ვაშაკიძეს (მეტსახელად, „ეშხა“) და 1982 წელს დაბადებულ მალხაზ დარჩიევს (მეტსახელად, „მახო“) ბრალი დაუსწრებლად წარედგინათ.

„ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ბრალდებით დაკავებულები არიან: 2000 წელს დაბადებული გ.ჭ.; 1972 წელს დაბადებული ზ.გ. (მეტსახელად, „ბახა“) და წარსულში ნასამართლევი პირები: 1981 წელს დაბადებული დ.ღ. (მეტსახელად, „შრამიანი“); 1981 წელს დაბადებული მ.ბ.; 1995 წელს დაბადებული გ.კ.; 1978 წელს დაბადებული ზ.დ. და 1995 წელს დაბადებული დ.ი. (მეტსახელად, „შოკი“).

დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული გამოძიებით, მათ შორის, მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქემ „ქურდული“ სამყაროს წევრებს მიმართა და ფინანსური სარგებლის სანაცვლოდ, კონფლიქტის მოგვარება სთხოვა. „ქურდული სამყაროს“ წევრებმა, თავის მხრივ, საქმეში „კანონიერი ქურდები“ ჩართეს.

აღნიშნული კონფლიქტის მოგვარებისთვის მიღებული თანხა მათ პირადად მოიხმარეს და არ გადაუციათ „კანონიერი ქურდებისთვის“, კერძოდ, ილია გაგლოევისთვის – მეტსახელად, „ილო კალინინგრადსკი“ და პაატა ვაშაკიძისთვის – მეტსახელად, „ეშხა“.

„ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელებისთვის მითვისებული თანხის შესახებ ცნობილი გახდა „კანონიერი ქურდებისთვის“ და ამ ქმედების განხილვისთვის „ქურდული“ გარჩევა მოეწყო. საქმეში, ასევე, ჩაერთნენ „კანონიერი ქურდები“: არიკი მიხაელი – მეტსახელად, „იზიკი“ და მალხაზ დარჩიევი – მეტსახელად, „მახო“.

ამავე სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიების შედეგად, სამართალდამცველების მიერ, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ბრალდებით დაკავებულია 1995 წელს დაბადებული დ.ი. (მეტსახელად, „შოკი“), რომელიც საზღვარგარეთ მყოფი „კანონიერი ქურდის“ სახელით მოქმედებდა და მოდავე მხარეს მეორის სასარგებლოდ, განსაზღვრულ დროში, გარკვეული თანხის გადახდას აიძულებდა.

პოლიციამ, ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ, ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით და 223-ე ტერცია მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს.

საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს აშშ-ის კალიფორნიის შტატის ქალაქ ესკონდიდოს პოლიციის დეპარატმენტის კრიმინალისტიკური სამსახურის უფროსი ესტუმრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს, ამერიკის შეერთებული შტატების კალიფორნიის შტატის ქალაქ ესკონდიდოს პოლიციის დეპარტამენტის კრიმინალისტიკური სამსახურის უფროსი, ექსპერტი ბრიანა თუსეინთი ესტუმრა. შეხვედრას ასევე ესწრებოდა ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) საქართველოს ოფისის დირექტორი სარა რუპერტი.

სტუმრებს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დირექტორმა, გიორგი თვაურმა უმასპინძლა.

აშშ-ის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს, მათ შორის, თბილისის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოსთვის საერთაშორისო ISO17020 აკრედიტაციის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურების დეტალები.

ბრიანა თუსეინთი ადგილზე გაეცნო შემთხვევის ადგილზე ექსპერტების მუშაობის სპეციფიკას, ამერიკული აკრედიტაციის ფარგლებში, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოსა და მუშაობის სტანდარტულ სამოქმედო პროცედურებს.

საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი შემთხვევის ადგილის ISO17020-ის აკრედიტაციის მიღების პროცესში აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროსთან (INL) და განაგრძობს ინტენსიურ მუშაობას ექსპერტიზის სხვა მიმართულებების ეტაპობრივი აკრედიტაციისთვის.

დიდი ფულაობა პოლიტიკაში

ნინო დოლიძე

გარიგება პოლიტიკურ დემონთან – პოლიტიკის დაცემული ანგელოზების ანატომია

ფული რომ ჯოჯოხეთს ანათებს, ეს ადამის მოდგმამ იმთავიდან იცის, მაგრამ ფული ლამპარის ფუნქციას პოლიტიკაშიც ასრულებს. ახლა, შესაძლოა, ვიღაცებმა დაიწყონ, ფული და პოლიტიკა არაფერ შუაშია, პოლიტიკას ფულს „ფულოსნები“ უკავშირებენო, მაგრამ ბატონებო, აბა, კარგად დააკვირდით თუნდაც ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს – ყველაფერი სწორედ ფულის გამოა აზვირთებული ანუ ერთი მხარე ფულის ხარჯვის გამჭირვალობას ითხოვს, მეორე ამის წინააღმდეგია და სწორედ ამიტომ ვართ დიდი აბრაკა-დაბრის მომსწრენი. ისე, წელს საქართველოში ისეთი არჩევნები პირველად უნდა ჩატარდეს, სადაც ე.წ. პოლიტიკური ბლოკები აღარ იქნება, ესე იგი, ბლოკური გაერთიანებები კანონით აიკრძალა, თორემ აქამდე, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ყველა არჩევნებში პარტიები ბლოკებად გამოდიოდნენ და, როგორც ამბობენ, სწორედ ამ დაბლოკებაში დიდი კი არა, ძალიან დიდი ფული „იჭრებოდა“. სტატიას, რომელსაც დღეს „ვერსიის“ არქივიდან გთავაზობთ, დღევანდელ ფულაობასთან, შესაძლოა, პირდაპირი კავშირი არ აქვს, რადგან როგორც აღვნიშნეთ, ბლოკები კანონით აკრძალულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, წინამდებარე წერილი პოლიტიკაში ფულის კეთების მექანიზმზე ერთგვარ წარმოდგენას მაინც შეგიქმნით, რამეთუ ფულის კეთების ალგორითმი, როგორც საქმეში ჩახედულნი ამბობენ, იგივე დარჩა. მაშ, ასე, დავიწყოთ.

* * *

ბლოკი სამშენებლო მასალაა, თუმცა წინამდებარე X-ფაილი არც სამშენებლო ბიზნესს ეხება და არც – საინჟინრო საქმეს. დღეს „ვერსია“ იმის გარკვევას შეეცდება, თუ რა სარგებლობა მოაქვს ბლოკს ქართული პოლიტიკისთვის, უფრო სწორად, მოჰქონდა, თორემ 2024 წლის არჩევნებზე ბლოკები უკვე კანონითაა აკრძალული. სხვათა შორის, სახელისუფლებო გუნდის ეს ინიციატივა ოპოზიციამ თავის დროზე მედგრად გააპროტესტა, რაც გასაკვირიც არ იყო, რამეთუ საქართველოს უახლესი ისტორია ნათელჰყოფს, რომ წვრილ-წვრილი სუბიექტებისთვის ბლოკი ერთგვარი ხელოვნური სუნთქვა, გნებავთ, პოლიტიკური ბოტოქსია ანუ უფრო ნათლად და გასაგებად რომ ვთქვათ, პოლიტიკური ღმერთებისა და პოლიტიკური სამოთხიდან განდევნილი ანგელოზების, ესე იგი, პოლიტიკური დემონებისგან განწირულ ისეთ პარტიებს, რომელთა არსებობაც მხოლოდ მათი ლიდერების ბიცოლა-დეიდა-მამიდებმა იციან, ეძლეოდათ შანსი, რომ არათუ საარჩევნო ბარიერი გადაელახათ, არამედ, სამთავრობო მარაქაში გარეულიყვნენ, ბრძენი დიოგენეს პოზა მიეღოთ და, მინიმუმ, საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნიდან ხელი მშიერმუცელა მოსახლეობის დამოძღვრისთვის მიეყოთ.

მოკლედ, რა სარგებლობა მოჰქოდა პოლიტიკურ ბლოკს? – ამის გასაგებად, მოდით, წარსული გავიხსენოთ, მით უმეტეს, წარსული, დიდი ილიას თქმისა არ იყოს, მხოლოდ აწმყოს კი არა, მომავალსაც შობს.

ასე რომ, თქვენი ნებართვით, „ვერსია“ დროში მოგზაურობას იწყებს და „ბნელ და უკუნ“ 90-იანებში ანუ იმ დროში ბრუნდება, როცა ჩვენს ცნობიერებასა და ლექსიკონში ბლოკი, როგორც პოლიტიკური ტერმინი, პირველად გაჩნდა და, შესაბამისად, დამკვიდრდა კიდეც.

* * *

1991 წელია, 22 დეკემბერი.

მზისა და ვარდების, ან სულაც, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის, ესე იგი, საქართველოს დედაქალაქი ცეცხლის ალში ეხვევა და...

ახალ წელს ქართველები ერთმანეთის სისხლის სმით ხვდებიან.

მერე?..

მერე, რაც მოხდება, ყველამ ვიცით – მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ არჩეული პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია და, შესაბამისად, მისი მთავრობაც გარბის და ქვეყნის მმართველად სამხედრო საჭო გვევლინება...

იოსელიან-სიგუა-კიტოვანის „ტრიუმვირატის“ მოწვევით, 1992 წლის მარტის დასაწყისში, მოსკოვიდან სამშობლოში, საქართველოს ცეკა-ს ყოფილი მდივანი და საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ედუარდ შევარდნაძე ბრუნდება. მართლია, ამ დროისთვის სამხედრო საბჭო უკვე სახელმწიფო საბჭოდაა ტრანსფორმირებული, მაგრამ ხელისუფლებაში მოსული სუბიექტების ლეგიტიმაცია მაინც ეჭვქვეშ დგას. ლეგიტიმაციისთვის ანუ სამხედრო გადატრიალების „გაპრავების“ ერთადერთი გზა არჩევნებია. ამიტომაც, 1992 წლის 1 მაისს, სახელმწიფო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, რომ შემოდგომაზე, კერძოდ, 11 ოქტობერს, არჩევნები ჩატარდეს, რომელშიც მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეეძლება. მსურველი კი, როგორც იტყვიან, „ოპტომაა“, მით უმეტეს, იმხანად მოქმედი კანონით, ე.წ. ბარიერი არ არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტში ნებისმიერი შევა, ვინც მინიმალურ პროცენტულ ზღვარს გადალახავს.

ასე და ამგავარად, არჩევნებში მონაწილეობას 36 პარტია და ოთხი ბლოკი იღებს. აქედან, მანდატების უმრავლესობას, კერძოდ, 29 მანდატს შევარდნაძის ბლოკი მშვიდობა „იჯიბავს“, თუმცა მშვიდობა იმთავითვე დაშლისთვისაა განწირული.

დიახ, პოლიტიკის მორევში აღმოჩენილმა სუბიექტებმა ბლოკი მიზნის მისაღწევად გამოიყენეს – „იმელის“ პარლამენტში თავი შეყვეს თუ არა, მშვიდობაც და, უტრირებულად თუ ვიტყვით, ხალხიც ფეხზე დაიკიდეს და ზრუნვა საკუთარ თავსა და კარიერაზე დაიწყეს.

ისე, მაშინ დემოკრატიული თამაშების გამოცდილება ჩვენს ბედკრულ სამშობლოში არავის ჰქონდა, თორემ ვიღაც აუცილებლად იტყოდა, ბლოკი ტიპური სატყუარაა და ამ მეთოდზე უარი უნდა ვთქვათო, თუმცა ხომ იცით, გზა მერე გამოჩნდება, როცა ურემი გადაბრუნდება ხოლმე. მართალია, ჩვენი პოლიტიკური ურემი 25 წლის წინ, ან შეიძლება, უფრო ადრეც გადაბრუნდა, მაგრამ გზა რომ დაგვენახა, მაინც ორ ათეულ წელზე მეტი დაგვჭირდა.

ახლა, ისე არ გაიგოთ, რომ „ვერსია“ პოლიტიკოსთა თავზე თითქოს სახარებას კითხულობს და არაპროფილურ „პოლიტიკურ ბიზნესს“ ანუ ბლოკებს ცეცხლითა და მახვილით ებრძვის, მაგრამ ნათქვამია, მოყვარეს პირში უძრახეო. ჰოდა, ჩვენც სწორედ ამ პრინციპით ვხელმძღვანელობთ და იმას ვამბობთ, რაც სიმართლეა – პოლიტიკური ბლოკები ხალხზე ზრუნვისთვის კი არა, ცალკეული, მეტ-ნაკლებად, ხელმოცარული პოლიტიკოსების პირადი ამბიციების დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალებაა და მეტი არაფერი!

დიახ, ეს მძფარი შეფასებაა, მაგრამ შევარდნაძის მშვიდობას თავი რომ დავანებოთ, ზემოთქმულის ჭეშმარიტებას შემდეგ წლებში განვითარებული მოვლენებიც ნათელჰყოფს, თუმცა თუ ნერვები გეყოფათ, მოდით, ყველაფერს ქრონოლოგიურად მივყვეთ.

* * *

ასე და ამგვარად, ცხონებული ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურმა ბლოკმა, რომელიც პოლიტისტორიაში მშვიდობის სახელით შევიდა, სული მალევე განუტევა, თუმცა თუ გგონიათ, რომ „მშვიდობისტების“ აბსოლუტურმა უმრავლესობამ „ბაბუს“ ზურგი აქცია, ძალიან ცდებით. დღევანდელი გადასახედიდან, შეიძლება ითქვას, რომ ბლოკი მშვიდობა მოქკავშირის ერთგვარი რეპეტიცია იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ 1995 წლის არჩევნებში, სამთავრობო გუნდმა წარმატებას უკვე ბლოკის გარეშე მიაღწია.

ამის შემდეგ, ჩვენებური პოლიტ-სამშენებლო ბიზნესი, გარკვეულწილად, სტაგნაციაში აღმოჩნდა ანუ სხვადასხვა არჩევნების დროს, პატარ-პატარა ბლოკები კი იქმნებოდა, მაგრამ წარმატებას ერთმაც ვერ მიაღწია.

ამასობაში, ახალი ათწლეულიც, ესე იგი, 21-ე საუკუნეც დაიწყო და პოლიტბლოკებსაც რენესანსი დაუდგათ. ამ მხრივ ახალ სიტყვად კი – არც მეტი, არც ნაკლები – მიხეილ სააკაშვილისა და ცხონებული ზურაბ ჟვანიას დაწყვილება იქცა. ეს ამბავი კი ასე მოხდა:

მოგეხსენებათ, ჟვანია-სააკაშვილის გუნდი, თავის დროზე, მოქაკვშირის ბირთვად და ხერხემლად ითვლებოდა, მაგრამ მოგვიანებით, როცა „მონასტერი აირია“, მიშას ზესუპერ ამბიცია გაუჩნდა, ქოში უკუღმა ყარა, მოქკავშირიდან გავარდა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დააფუძნა.

მოქკავშირში დარჩენა არც ჟვანიამ ისურვა – ძველი თანამოაზრეების უმეტესობა რეტროგრადებად მონათლა და პარტია გაერთიანებული დემოკრატები დააფუძნა, რომელსაც მოგვიანებით, კერძოდ, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, ბურჯანაძე-დემოკრატები ეწოდა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

დიდი ფულაობა პოლიტიკაში

მე-3 გვერდიდან

მართალია, თავიდანვე ყველა, ან თითქმის ყველა, ვინც პოლიტიკურ მანიპულაციებში მეტ-ნაკლებად ერკვევა, ხვდებოდა, რომ სააკაშვილ-ჟვანიას ბოლო ერთი იქნებოდა, მაგრამ ყველაფერს ისეთი სახე მიეცა, რომ ექსმოკავშირელები თითქოს სპონტანურად დაბლოკდნენ. ეს დაბლოკება კი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩატარებულ არჩევნებზე მოხდა, თუმცა ამას დაბლოკება კი არა, უფრო შერწყმა ერქვა, რამეთუ ჟვანიას პარტიამ არსებობა შეწყვიტა და 2004 წლის 28 მარტის არჩევნებზე, მისი წევრები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სიით გამოვიდნენ.

რაც შეეხება ბლოკს, 2004-ის ვადამდელი არჩევნებით პარლამენტში, ნაციონალების გარდა, ბლოკი მემარჯვენე ოპოზიციაც შევიდა, რომელიც ახალ მემარჯვენეებსა და მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს აერთიანებდა.

წესით და რიგით, მემარჯვენე ოპოზიციას არსებობა არ უნდა შეეწყვიტა, რამეთუ ახლებიცა და მრეწველებიც მიშას იმთავითვე კრიჭაში ედგნენ, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, ეს ბლოკიც უსწრაფესად დაიშალა. მეტიც, ისიც გვახსოვს, ოპოზიციონერი თოფაძე პრეზიდენტ სააკაშვილს რამდენიმე ოფიციალური ვიზიტის დროს გვერდს რომ უმშვენებდა, თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა...

ისე, რაკიღა სიტყვა მოიტანა, ბარემ, აქვე ვთქვათ: თოფაძეს ბლოკებში გაწევრიანება, როგორც დაკვირვება ნათელჰყოფს, უკვე „ხასიათში გადაუვიდა“ – ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც ხომ „ოცნებას“ მიეკედლა და სწორედ ასე გახდა კიდევ ერთხელ პარლამენტარი.

ასე და ამგვარად, ლოგიკურად მივედით 2012 წლამდე, როცა ჩვენს პოლიტლექსიკონში ტერმინი „ბლოკი“ „კოალიციამ“ შეცვალა. პრინციპში, კოალიციაც იგივე ბლოკია, მაგრამ გარდერობისა არ იყოს, პერიოდულად განახლება-გადახალისება პოლიტიკასაც სჭირდება ხოლმე. ჰოდა, ალბათ, სწორედ ამ პრინციპით დაარქვეს „ოცნებას“ კოალიცია, თორემ ახლა, მოსახლეობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თავად პოლიტიკოსთა აბსოლუტურმა უმრავლესობამაც არ იცის, თუ რითი განსხვავდება ბლოკი კოალიციისგან.

სამაგიეროდ, ის პოლიტელემენტები, რომლებიც ბლოკსა თუ კოალიციაში ერთხელ მაინც ყოფილან, ერთთავად ამტკიცებენ, ამა და ამ პარტიასთან მხოლოდ თემატურად ანუ არჩევნებისთვის ვერთიანდებით, თორემ ჩვენ, ჩვენი ჯვარი გვაქვს საზიდიო.

ახლა, თქვენი არ ვიცი და, მე კი ნაღდად არ მჯერა, პოლიტელემენტები ვერ ხვდებოდნენ, რომ ამ განცხადებით საკუთარი მიზნის ლუსტრირებას ახდენენ ანუ პრაქტიკულად, აღიარებენ, დაბლოკება იმიტომ გვინდა, პარლამენტში რომ მოვხვდეთო. აბა, თუ ასე არაა, იქნებ, ვინმემ განმარტოს, მხოლოდ არჩევნებისთვის შექმნილი ერთობა რას ნიშნავს, ან როგორ შეიძლება, სხვადასხვა პოლიტიკური ყაიდის პარტია, რომელსაც ასევე, განსხვავებული პროგრამა აქვს, ერთი ბლოკის წევრი გახდეს?

ამ დაბლოკებას შეიძლება, შემთხვევითი, ან სულაც, დაუცველი კავშირი ვუწოდოთ. ჰოდა, რა გასაკვირია, დიდი ზარ-ზეიმით, „ტრამპა-ცუმპათი“ და ძვირადღირებული ალა-ფურშეტებით შექმნილი ბლოკები სულ პანტა-პუნტით რომ იშლებიან ხოლმე?!

* * *

ერთი სიტყვით, ყოველივე ზემოთქმული ნათელჰყოფს, რომ ნებისმიერ დროსა და ეპოქაში შექმნილ-ნარმოქმნილი პოლიტიკური ბლოკი ტიპური ბლეფია. შესაბამისად, ალბათ, კარგიც იქნება, თუკი მსგავსი მანიპულაციები კანონის ძალით აიკრძალება, მაგრამ ასე ჩვენ, რიგითი მოკვდავები ვფიქრობთ, თორემ პოლიტიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ საქართველოს გადასარჩენად იშვნენ, ბლოკებს ისე ებღაუჯებიან, როგორც წყალწაღებული – ხავსს. შესაბამისად, ანტიბლოკურ ინიციატივას „აინუნშიც“ არ აგდებენ და „წინ, ბლოკისკენ“ მწყობრი ნაბიჯით მიდიან.

ასე, მაგალითად, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართელობის არჩევნებში, თავისუფალი დემოკრატები და რესპუბლიკური პარტია „დაწყვილდნენ“. ამ პოლიტჯვრისწერაზე ბევრს გაეღიმა, რადგან ორივე პარტია, მიუხედავად იმისა, რომ პროდასავლური ყაიდის იყო, რეიტინგებში „ბუზისტოლადაც არ ჩანდა“.

სხვათა შორის, „რესპებს“ და „თავდემებს“ ანუ უსუფაშვილისა და ალასანის ექსპარტიებს ბლოკური თანაცხოვრების გამოცდილება უკვე ჰქონდათ – 2012 წელს, ორივე კვალიფიციური სუბიექტი იმის წყალობით გახდა, რომ კოალიცია „ოცნების“ წევრი იყო. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კი ამ პარტიებმა საარჩევნო ბარიერიც ვერ გადალახეს.

სამაგიეროდ, ბარიერის გადალახვა პატრიოტთა ალიანსმა მოახერხა, რომელმაც კენჭი ბლოკური პრინციპით იყარა – პატრიოტების ბლოკში საარჩევნოდ თავი აკაკი ასათიანის ტრადიციონალისტთა კავშირმა, კონსტანტინე გამსახურდიას პოლიტიკურმა მოძრაობა თავისუფლებამ, კახა კუკავამ და კიდევ რამდენიმე სუბიექტმა მოიყარა, თუმცა პატრიოტული ბლოკის საარჩევნო სიის ათეული ისე იყო შედგენილ-დაკომპლექტებული, რომ პარლამენტის წევრები მხოლოდ მართლმორწმუნე პატრიოტები გახდნენ, თუმცა წაგებულები არც ბლოკის სხვა წევრები დარჩენილან – ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მათ, როგორც ბლოკში შემავალმა სუბიექტებმა, საბიუჯეტო დაფინანსება მიიღეს.

აი, ბლოკის ერთ მთავარ სიკეთესაც „მივადექით“ – დიახ, დიახ, ქალბატონებო და ბატონებო, თქვენ და მე ვიკითხოთ, თორემ თუნდაც ერთპროცენტიან პარტიებსა და მათ ლიდერებს თავი ქუდშიც აქვთ და, მინიმუმ, ოთხი წელი იმის გარანტიაც, რომ სული შიმშილით არ ამოხდებათ!

რატომ?

რატომ და, არჩევნები მოახლოვდება თუ არა, რამდენიმე პოლიტსუბიექტი სადმე, „სკუჩნი“ ადგილას „მოჯდება“, „მოშჩნ“ „ბიზნესგეგმას“ შეადგენს, მეორე-მესამე დღეს „თათარიახნად“ შექმნილ ბლოკზე საჯარო განცხადებას გააკეთებს და თუკი პოლიტიკური ღმერთები და დემონები მოწყალობას გაიღებენ, საარჩევნო ზღვარს გადალახავს და პარლამენტში ერთ-ორი კაციც (ქალი) რომ გაიყვანოს, „ადამიანურად აცხოვრდება“ – ბიუჯეტიდან „გროშებს“ მიიღებს და... ბლოკიც ჩაილურის წყალს დალევს...

ასეთი „ჩაილურწყალდალეული“ ბლოკი კი არაერთი გვინახავს – რაღა შორს წავიდეთ, გავიხსენოთ პაატა ბურჭულაძის გარშემო თავმოყრილი პოლიტსუბიექტები, რომლებმაც მსოფლიო ბანის ბლოკი, უფრო სწორად, დღემდე გაურკვეველი პოლიტიკური წარმონაქმნი, სულ პანტა-პუნტით დატოვეს.

* * *

აი, ასე: ჩვენ რაც უნდა ვთქვათ, პოლიტიკოსები მაინც თავისას „აწვებიან“: ზოგი „ბლოკისტია“, ზოგიც – „ანტიბლოკისტი“.

მაინც, რა არის ბლოკი – საფრთხე თუ შესაძლებლობა? სწორედ ეს ჰედლაინი აქვს სათაურად გამოტანილი საია-ს იურისტის, ლელა ტალიურის წერილის, რომელიც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებ-გვერდზე, 2017 წლის 7 აპრილს გამოქვეყნდა და რომელსაც „ვერსია“ უცვლელად გთავაზობთ.

სხვათა შორის, ეს წერილი საკითხის ერთი მხარეა ანუ ამ თემაზე სხვა აზრიც არსებობს. შესაბამისად, ისე არ გაიგოთ, რომ „ვერსია“ ბლოკების აპოლოგეტია ან – პირიქით.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, დროს აღარ წაგართმევთ და ხსენებული წერილის გაცნობის საშუალებას მოგცემთ:

„საარჩევნო ბლოკები – ეს არის შესაძლებლობა პოლიტიკური პარტიებისთვის, რათა მათ არჩევნებში კოალიციურად, სხვა პარტიებთან თანამშრომლობით მიიღონ მონაწილეობა. ამ მონაწილეობით მოიზიდონ მეტი ფინანსური და მატერიალური რესურსი, ვიდრე არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შემთხვევაში ექნებოდათ, გაუზიარონ საკუთარი იდეები უფრო მეტ ადამიანს და შესაბამისად მიიღონ იმაზე მეტი ხმა, ვიდრე ისინი ამის გაკეთებას დამოუკიდებლად შეძლებდნენ.

ხელისუფლება საარჩევნო ბლოკების გაუქმებას გეგმავს. არგუმენტი პოლიტიკური პარტიების გაძლიერებაა.

კითხვა, რომელიც ამ შემთხვევაში ისმის, მდგომარეობს შემდეგში: ხელისუფლების ინიციატივა რეალურად პოლიტიკური პარტიების გაძლიერებას ემსახურება თუ ეს არის ხელისუფლების მიერ პარტიების საქმიანობის შეზღუდვა – აუკრძალოს პარტიებს სხვა პარტიებთან გაერთიანება, თანამშრომლობა, იმაზე ძლიერად ყოფნა წინასაარჩევნო პერიოდში, ვიდრე მათ მარტო, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შემთხვევაში ექნებოდათ?

არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ხელისუფლებაში მყოფი, საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე მმართველი პარტია, 2012 წელს, სწორედ კოალიციურ რეჟიმში, საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მყოფი მოვიდა ხელისუფლებაში. არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, მაშინ ოპოზიციაში მყოფმა მმართველმა პარტიამ – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, საკუთარი ქოლგის ქვეშ კიდევ 5 პოლიტიკური პარტია

დასასრული მე-5 გვერდზე

დიდი ფულაობა პოლიტიკაში

მე-4 გვერდიდან

გააერთიანა და მაშინდელ მმართველ ძალას – ერთიან ნაციონალურ მოძრაობას საპარლამენტო არჩევნებში მოუგო.

რომ არა საარჩევნო ბლოკის ფორმატი, „ქართულ ოცნებას“ და მასთან ერთად კოალიციაში მყოფ პარტიებს ხელისუფლებაში მოსვლა ცალ-ცალკე გაუჭირდებოდათ. ალბათობა იმისა, რომ ეს პარტიები დამოუკიდებლად გადალახავდნენ კანონით დაწესებულ 5%-იან ბარიერს, ძალიან დაბალი იყო.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში ხელისუფლება არჩევნების გზით სამჯერ შეიცვალა (1990, 2003 და 2012) და სამივე შემთხვევაში, მმართველი პოლიტიკური ძალა საარჩევნო ბლოკის მეშვეობით მოვიდა ხელისუფლებაში.

ამიტომ ვფიქრობ, რომ საარჩევნო ბლოკების არსებობა, პირიქით, აუცილებელია იმისთვის, რომ პარტიები გაძლიერდნენ, იყვნენ კონკურენტუნარიანნი და სხვა პარტიებთან თანამშრომლობით შეძლონ მეტი ხმის მოპოვება არჩევნებზე და მოსვლა ხელისუფლებაში.

საარჩევნო ბლოკების გაუქმებაზე დამატებითი არგუმენტებიც ისმის. მაგალითად, არგუმენტი იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური პარტიები საარჩევნო ბლოკების შექმნით ახერხებენ კანონით მანიპულირებას და შედეგად, იმაზე მეტი პრივილეგიის, დაფინანსების მოპოვებას, ვიდრე ეს მათ რეალურად ეკუთვნით. უნდა ითქვას, რომ ეს არგუმენტი სიმართლესთან ახლოსაა. დიახ, ასეც ხდება, რომ პოლიტიკური პარტია, რომელიც საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობს არჩევნებში, სახელმწიფო დაფინანსების მისაღებად დადგენილ 3%-იან ბარიერს ვერ ლახავს, სამაგიეროდ იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით 300 000 ათას ლარს და ერთი წევრის ყოლის უფლებას ყველა დონის საარჩევნო კომისიაში. ისეც ხდება, რომ ძლიერი პოლიტიკური პარტია, ისეთ პარტიას შეიყვანს საარჩევნო ბლოკში, რომლის არსებობა ძალიან ბევრმა ამომრჩეველმა არც კი იცის. რეალურად, ძლიერ პარტიას საკუთარი სახელის ქვეშ გაჰყავს ბევრისთვის უცნობი პარტია არჩევნებზე, უყოფს მას დაფინანსებას და აძლიერებს. თავის მხრივ, ბევრისთვის უცნობი პარტია მოიპოვებს რა, მაგალითად, საარჩევნო კომისიაში ერთი წევრის ყოლის უფლებას, აძლევს ამ კომისიის წევრს ძლიერ პოლიტიკურ პარტიას და რეალურად ამით ეხმარება, აძლიერებს მას. შედეგად, პარტია საარჩევნო კომისიაში იღებს იმაზე მეტი წევრის ყოლის უფლებას, ვიდრე ის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შემთხვევაში მიიღებდა. ამომრჩეველს კი უწევს საკუთარი გადასახადების ხარჯზე დააფინანსოს ბევრისთვის უცნობი პარტიები.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემები რეალური პრობლემებია, საარჩევნო ბლოკები საჭიროა. საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური პარტიების გასაძლიერებლად, პოლიტიკური პლურალიზმისა და დემოკრატიული პროცესებისთვის, იმისთვის, რომ საქართველოს პარლამენტში ისმოდეს მეტი კრიტიკული აზრი, ხდებოდეს ეფექტური კონტროლი მთავრობის საქმიანობაზე.

ხშირად ამბობენ, რომ საქართველოში 200-ზე მეტი პარტიაა ოფიციალურად რეგისტრირებული და ეს არ არის ნორმალური პროცესი. ამდენი პარტიიდან, 2016 წლის არჩევნებზე, მხოლოდ რამდენიმე ათეულმა მიიღო მონაწილეობა და 5%-იანი ბარიერის გადალახვა მხოლოდ სამმა პოლიტიკურმა ძალამ შეძლო. მათ შორის, ორმა არჩევნებში მონაწილეობა საარჩევნო ბლოკის სახით მიიღო. ბლოკები რომ აუცილებელია, ეს დადასტურდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზეც, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრე. და ძალიან მნიშვნელოვანი: გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს, მმართველ პარტიას პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა (115 მანდატი) აქვს მოპოვებული. ნაცვლად ერთპარტიული სისტემისა, მნიშვნელოვანია, არსებობდეს მეტი კრიტიკული აზრი და მეტი პარტია პარლამენტში.

და თუ პრობლემა მხოლოდ იმაშია, რომ პოლიტიკური პარტიები კანონით მანიპულაციას ახდენენ და ამიტომ საარჩევნო ბლოკები უნდა გავაუქმოთ, არ იქნება სწორი ამ გზით პრობლემის მოგვარება.

რაშია გამოსავალი? ქართული დემოკრატიის მდგომარეობის გათვალისწინებით, გამოსავალი არა საარჩევნო ბლოკების გაუქმება, არამედ, მათი შენარჩუნებაა. კანონის ჩანაწერების გასწორებაა, ბუნდოვანი რეგულაციების ამორიცხვაა, რომ პარტიებმა საარჩევნო ბლოკების მეშვეობით ვერ შეძლონ იმაზე მეტი დაფინანსებისა და შეღავათების მიღება, ვიდრე ეს მათ ამომრჩეველმა მიაკუთვნა და ამ გზით ვერ შეძლონ ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანა.

ვის შეიძლება აწყობდეს საარჩევნო ბლოკების გაუქმება? ალბათ, ხელისუფლებას, რომელსაც არ სურს იხილოს პოლიტიკური ძალების გაერთიანება მის კონკურენტად.

რა შეიძლება იყოს ამომრჩევლის ინტერესში? ამომრჩევლის ინტერესში შეიძლება იყოს ქმედითი ხელისუფლება, რომელიც ამომრჩევლის ინტერესებით მოქმედებს და ძლიერი ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ხელისუფლების საქმიანობას აკონტროლებენ.

ამიტომ, ნუ გავაუქმებთ საარჩევნო ბლოკებს, ნუ ჩავახშობთ მეტ კონსოლიდირებულ კრიტიკულ აზრს, დავტოვოთ ბლოკები და შევცვალოთ კანონი ისე, რომ არც ხელისუფლებას და არც არასახელისუფლებო პარტიებს ამომრჩეველი შეცდომაში არ შეჰყავდეთ“.

* * *

მართალია, პოლიტიკური ბლოკები ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ პოლიტსუბიექტები ახლა სხვა ფირმით ერთიანდებიან. ჰოდა, იმის თეორიული შანსი, რომ ფულის კეთდება გაგრძელდეს, რასაკვირველია, ისევ არსებობს და ალბათ, მანამდე იარსებებს, სანამ პოლიტიკური კლასი არ შეიცვლება. ეს პოლიტიკური კლასი კი მაშინ შეიცვლება, როცა პოლიტიკურ ავანსცენაზე ე.წ. „ჯენზის“ თაობის წარმომადგენლები გამოვლენ. დიახ, ეს თაობა სრულიად სხვანაირად აზროვნებს და შესაბამისად, ქვეყნის მართვასა და პოლტიკის კეთებასაც სხვანაირად დაიწყებენ. ასე რომ, დროა, ყველანი გადავდგეთ გზებიდან და ასპარეზი სწორედ ამ ახალ თაობას დავუთმოთ!

ბინები და არასაცხოვრებელი ფართები თბილისსა და ქუთაისში

მაკა რუხაძე

„მარცხდება „ქართული ოცნება“ და როგორც ყველა ბოროტ ძალას სჩვევია, გადაწყვიტა, თავის მარცხში გაიყოლოს მთელი ქვეყანა. ეს არ გამოუვათ! რუსული კანონი შემოიტანეს თავიდან იმიტომ, რომ ეს ქვეყანა საბოლოოდ მიაჯაჭვონ რუსეთს მაშინ, როდესაც თქვენ, ჩვენ და ამ ქვეყნის ყველა, საღად მოაზროვნე მოქალაქეს ძალიან მკაფიოდ აქვს გაკეთებული და გაცხადებული არჩევანი“, – ასე აფასებს „ლელოს“ წევრი, პარლამენტის დეპუტატი, ანა ნაცვლიშვილი „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტის ხელახალ განხილვას საკანონმდებლო ორგანოში. ამ სტატიაში კანონპროექტის ავკარგიანობაზე არ ვისაუბრებთ, მაგრამ ჩემი, როგორც ჟურნალისტის და ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქის აზრი თუ გაინტერესებთ, დაუფარავად გეტყვით – „უცხოელი აგენტების“ გამოვლენა და ქვეყნის არეულობის მიზნით, უკანონოდ გადმორიცხული ნებისმიერი ტრანზაქციის სახელმწიფო კონტროლი ამ ყბადაღებული კანონპროექტის გარეშეც შესანიშნავად შეიძლება. ამიტომ, დღეს ანა ნაცვლიშვილის ქონებრივი დეკლარაცია განვიხილოთ და ვნახოთ, როგორ ცხოვრობს საკმაოდ მდიდარი მშობლების იურისტი და ახლა უკვე პოლიტიკოსი შვილი.

ანა ნაცვლიშვილის ქონებრივი დეკლარაცია

ბიოგრაფია

ვიდრე დეკლარაციას განვიხილავთ, ჯერ ბიოგრაფია გავიხსენოთ. ანა ნაცვლიშვილი დაიბადა 1984 წლის 31 დეკემბერის. იურისტი და პოლიტიკოსი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე (2014-2017 წლებში), საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის საპარლამენტო მდივანი (2018 წლის 9 იანვარიდან 2018 წლის 18 დეკემბრამდე), – ასე ახასიათებს „ვიკიპედია“ ანა ნაცვლიშვილს.

2006 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი, 2007 წელს მიენიჭა ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის (უნგრეთი) სამართლის მაგისტრის წოდება, ხოლო 2013 წელს ესექსის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის წოდება.

2007-2008 წლებში, სტაჟირება გაიარა დიდ ბრიტანეთში, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაში „მე-19 მუხლში“ და სამხრეთ აფრიკაში, კვაზულუ-ნატალის უნივერსიტეტის სამართლის კლინიკაში.

2008-2011 წლებში მუშაობდა საქართველოში, უფლებადაცვით ორგანიზაციაში – „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ და საერთაშორისო ორგანიზაციის „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის ოფისში.

2012 წელს მუშაობდა დიდ ბრიტანეთში, ესექსის უნივერსიტეტთან არსებულ გარდამავალი მართლმსაჯულების ქსელში, ხოლო 2013 წელს – ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისში.

2014 წლიდან მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, 2014-2017 წლებში, სამჯერ იქნა არჩეული ამავე ორგანიზაციის თავმჯდომარედ. ამავე პერიოდში, ხელმძღვანელობდა ოცდაათზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციისაგან შემდგარ კოალიციას დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის.

ანა ნაცვლიშვილი იყო სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი (2017), სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კომისიის წევრი (2016-2017), ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მართლმსაჯულების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის კომისიის წევრი (2016).

ანა ნაცვლიშვილი არის საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების თაობაზე არაერთი კვლევისა და პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი. სხვადასხვა დროს, ექსპერტის რანგში თანამშრომლობდა არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, მათ შორის, გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისსა და ევროპის საბჭოსთან.

მიღებული აქვს მრავალი პროფესიული სტიპენდია და სიგელი. 2017 წელს, მიენიჭა საქართველოს შვიდი უმაღლესი სასწავლებლის მიერ დაწესებული ჯილდო – „წლის უფლებადამცველი“.

2018 წლის 9 იანვარს, დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის საპარლამენტო მდივნად. საპარლამენტო მდივნის უფლებამოსილებას ასრულებდა 2018 წლის 18 დეკემბრამდე, როდესაც იგი პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის საპარლამენტო მდივანდმა, დიმიტრი გაბუნიამ შეცვალა.

2019 წლის 22 დეკემბრიდან, მამუკა ხაზარაძის პარტია „ლელოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრია.

2020 წლიდან არის საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკიდან: „ლელო საქართველოსთვის“.

ქონებრივი დეკლარაცია

ანა ნაცვლიშვილმა ქონებრივი დეკლარაცია ბოლოს, 2024 წლის 29 თებერვალს ჩააბარა. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ჰყავს მეუღლე – გიორგი ნოზაძე და ორი შვილი – ლაზარე და მარიამი.

დეკლარაციის მიხედვით, ანა ნაცვლიშვილის მეუღლის სახელზე რეგისტრირებულია 102.88 კვ. მეტრი არასაცხოვრებელი ფართი ნუცუბიძის ფერდობზე, რომელიც მისთვის 2016 წელს უჩუქებიათ. ამავე მისამართზე, გიორგი ნოზაძის 100%-იან საკუთრებაშია 91.5 კვ. მეტრი ფართობის ბინა, რომელიც 2016 წელს უჩუქებიათ.

ანა ნაცვლიშვილის სახელზეა რეგისტრირებულ ერთი არასაცხოვრებელი ფართი – სარდაფი და სამი ბინა – ორი თბილისში და ერთი ქუთაისში. ქუთაისის ბინა მისთვის უჩუქებიათ, ხოლო თბილისის ბინებში – ერთი 37 500 აშშ დოლარიმ ხოლო მეორეში – 35 000 აშშ დოლარი გადაუხდია.

გიორგი ნოზაძის სახელზე რეგისტრირებული მსუბუქი ავტომანქანა – 2020 წლის ჯიპი Grand Cheroke, რომელიც 15 000 აშშ დოლარად შეუძენია. დეკლარაციიდანვე ირკვევა, რომ გიორგი ნოზაძეს შვილების სწავლის გადასახადის სახით, 6 150 ლარი გადაუხდია.

რაც შეეხება წლიურ შემოსავალს, ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, გიორგი ნოზაძის, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საქართველოში საელჩოს უსაფრთხოების თანამშრომლის შემოსავალი 42 377 ლარია, ანა ნაცვლიშვილის, როგორც პარლამენტის წევრის – 46 855 ლარი, ხოლო, როგორც საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის – ჯიპა, ლექტორის წლიური შემოსავალი – 8 441 ლარი.

რა ხარვეზები გამოვლინდა სამხედრო განათლებაში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური სამხედრო განათლებით დაინტერესდა. აუდიტის დასკვნა, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, მოიცავს 2020-2021 წლებს და როგორც მოსალოდნელი იყო, აუდიტორებმა სამხედრო განათლებაშიც კი უამრავი ხარვეზი გამოავლინეს. მიზეზი, რის გამოც სახელმწიფო მაკონტროლებლები სამხედრო სწავლებით დაინტერესდნენ არის ის, რომ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოსთვის ეფექტიან თავდაცვისუნარიანობას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. თავდაცვისუნარიანობის განვითარების ერთ-ერთი საწყისი და მნიშვნელოვანი წინაპირობა კი სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა შესაბამისი განათლებითა და საბრძოლო მომზადებით უზრუნველყოფაა. სამხედრო განათლება მოიცავს საფეხურებრივი განათლების სისტემას, რომელიც შედგება დაწყებითი, საწყისი, ძირითადი და უმაღლესი განათლების ეტაპებისგან. გარდა ამისა, საქართველოში მოქმედებს სამხედრო სავალდებულო სამსახური. რაც მთავარია, სამხედრო განათლების მიმართულებით, ბოლო პერიოდში, განხორციელდა სხვადასხვა რეფორმა, რაც ითვალისწინებს თანამედროვე მოთხოვნებთან თავსებადი, მაღალპროფესიული, ბრძოლისუნარიანი თავდაცვის ძალების ჩამოყალიბებას ქვეყანაში. ახლა ვნახოთ, რა დარღვევები და ხარვეზები გამოავლინეს სახელმწიფო მაკონტროლებლებმა სამხედრო განათლებაში.

ხარვეზები დაწყებით სამხედრო განათლებასა და სამოქმედო გეგმაში

აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ 2020-2021 წლებში, სამხედრო განათლების სისტემის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს შემუშავებული ჰქონდათ სტრატეგიული მიმოხილვისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, არ მიმდინარეობდა შესრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშების შედგენა.

„ამასთან, სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული მიზნები ზოგად ხასიათს ატარებდა, დეტალურად არ იყო გაწერილი კონკრეტულ წელს მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები და არ იყო წარმოდგენილი შეფასების ინდიკატორები. შესაბამისად, აუდიტმა ვერ უზრუნველყო გეგმით დასახული სხვადასხვა მიზნის მისაღწევად განხორციელებული აქტივობების ზუსტი და სრული შეფასება“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

რაც შეეხება სამხედრო მომზადების დაწყებით პროგრამას, ამას ახორციელებს სსიპ „გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი“, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას საშუალო საფეხურზე (X, XI, XII კლასი) ეროვნული და ლიცეუმის სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწყებითი სამხედრო განათლების მიღების პროცესში, სახელმწიფო აუდიტორებმა რამდენიმე ძირითადი ნაკლოვანება გამოავლინეს.

„ლიცეუმის წესდებით, მკაფიოდ არ არის გაცხადებული მისი მთავარი დანიშნულება – მოამზადოს მოსწავლეები ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში შემდგომი სწავლისთვის და საქართველოს თავდაცვის ძალებში მომავალი კარიერისთვის, რაც რეალურად სამხედრო სკოლის მთავარი დანიშნულება უნდა იყოს, კადეტის მიერ პირველადი სამხედრო ცოდნისა და უნარების შეძენასთან ერთად. არსებული ლოგისტიკური რესურსიდან გამომდინარე, ლიცეუმი ახორციელებს მსურველთა, საშუალოდ, მხოლოდ 30%-ის მიღებას.

2017-2020 წლების ანალიზის შედეგად, ჩარიცხული მოსწავლეებიდან სწავლების სხვადასხვა ეტაპზე, საშუალოდ, 40%-მა შეწყვიტა სწავლა და ამოირიცხა ლიცეუმიდან. ლიცეუმდამთავრებულ აბიტურიენტთა 50-60% აგრძელებს სწავლას სხვადასხვა სასწავლებელში და არა – ეროვნული თავდაცვის აკადემიაში. ამასთან, 2016, 2017, 2018 წლებში კადეტთა სამხედრო ლიცეუმდამთავრებული 215 კადეტიდან, ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩაირიცხა 103 ანუ 48%. მათგან, აკადემია დაასრულა 59-მა პირმა (57%), რომელთაგან დღევანდელი მდგომარეობით, თავდაცვის ძალებში ირიცხება 50 ოფიცერი. აღნიშნული მაჩვენებლები არ არის ეფექტიანი და ვერ უზრუნველყოფს სამინისტროს სამოქმედო გეგმებით დასახული მიზნების მიღწევას“.

გარდა ამისა, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა ისიც გაარკვიეს, რომ კადეტებისთვის არ არის შემუშავებული და დანერგილი შესაბამისი შეღავათები/სარგებელი, გააგრძელონ სწავლა სამხედრო მიმართულებით, ეროვნული თავდაცვის აკადემიაში. ლიცეუმს ოფიციალურად არ აქვს ინფორმაცია კადეტების მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგებისა და შესაბამის უნივერსიტეტებში მოხვედრის შესახებ, რაც მნიშვნელოვანია ლიცეუმში სასწავლო პროცესის ეფექტიანი მართვის ხელშესაწყობად.

ხარვეზები ძირითად სამხედრო განათლებაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ თავდაცვის ძალებში, ძირითადი სამხედრო განათლების მიღების პროცესს უზრუნველყოფს წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა, რომლის მიზანია მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურე კადრების მომზადება/გადამზადება, საქართველოს თავდაცვის ძალებში დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო სწავლებების და წვრთნების მხარდაჭერა და მათში მონაწილეობა.

„2020-2021 წლებში, წვრთნებისა და განათლების სარდლობის მიერ, დაგეგმილი იყო 222 და 197 სასწავლო კურსი, საიდანაც 2020 წელს არ ჩატარებულა 64, ხოლო 2021 წელს – 65. კურსების არჩატარების ძირითადი მიზეზი, 2020 წელს, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული მდგომარეობა გახდა. 2021 წელს, კურსების დაგეგმვისას, პანდემია გათვალისწინებული იყო, რის გამოც კურსები იგეგმებოდა შედარებით ნაკლები რაოდენობით. მიუხედავად აღნიშნულისა, დაგეგმილი კურსების 35% არ ჩატარებულა. ანალიტიკური პროცედურებით გამოვლინდა, რომ კურსების არჩატარების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია კვორუმის არარსებობა (მონაწილეთა ნაკლებობა), რაც პირადი შემადგენლობის გადინებითაა გამოწვეული. ამასთან, არ ჩატარებულა 2020-2021 წლებში გეგმით გათვალისწინებული 6 სახეობის 13 კურსი“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, თავდაცვის სამინისტროში, 2020-2021 წლებში, სხვადასხვა დონისა და საფეხურის საკარიერო კურსი საქართველოში და საზღვარგარეთ, სულ გაიარა 2 163-მა სამხედრო მოსამსახურემ. შესაბამისად, საკარიერო კურსებზე სამხედრო მოსამსახურეთა ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია, რაც გამოწვეულია პანდემიით და თავდაცვის ძალებში სამხედრო მოსამსახურეთა შემოდინების – დაბალი და გადინების – მაღალი მაჩვენებლებით.

დასასრული მე-8 გვერდზე

რა ხარვეზები გამოვლინდა სამხედრო განათლებაში

მე-7 გვერდიდან

ეს ყველაფერი უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც სამხედრო მოსამსახურეთა განათლების პროცესზე, ასევემ საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან დაგეგმვაზე.

ხარვეზები უმაღლეს სამხედრო განათლებაში

2022 წლამდე, უმაღლესი სამხედრო განათლების მიღება სამხედრო მოსამსახურეებს მხოლოდ საზღვარგარეთ შეეძლოთ, 2022 წლიდან კი, ეს პროგრამა ხელმისაწვდომია სსიპ „თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში“. 2022 წელს, ამ აღნიშნულ პროგრამაზე საზღვარგარეთ ჩაირიცხა – 9, ხოლო საქართველოში – მხოლოდ 5 სამხედრო მოსამსახურე.

„2023 წლიდან, თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლესი პროგრამა, სამმხრივი მემორანდუმის საფუძველზე, ინტეგრირდა თსუ-ის სამაგისტრო პროგრამასთან – **„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“. პროგრამის განხორციელებისთვის საჭიროა სამხედრო კომპონენტზე მინიმალური რაოდენობის სამხედრო მოსამსახურის ჩართულობა, თუმცა არ არის განსაზღვრული, განხორციელდება თუ არა სამაგისტრო პროგრამა და ექნება თუ არა სარგებელი თავდაცვის სამინისტროს, სამხედრო მოსამსახურეების მინიმალური რაოდენობის შეუვსებლობის, ან იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის სამხედრო კომპონენტზე ჩარიცხულ სამხედრო მოსამსახურეებს არ ექნებათ პარალელურად მაგისტრატურის გავლის სურვილი. განსაკუთრებით, იმ პირობებში, როდესაც აღნიშნულ უმაღლეს სამხედრო განათლების კურსზე, 2022 წელს ჩარიცხული იყო მხოლოდ 5 სამხედრო მოსამსახურე და სამხედრო მოსამსახურეებს კვლავ აქვთ საზღვარგარეთ კურსის გავლის შესაძლებლობა“.**

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ მიუხედავად სხვადასხვა სახის წამახალისებელი ღონისძიებებისა, თავდაცვის ძალებში სამხედრო მოსამსახურეების მოზიდვა-შენარჩუნება გამოწვევად რჩება, ხოლო გადინების პროცესის დამაბრკოლებელი ფაქტორები ხასიათდება ხარვეზებით და ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას. ეს წარმოშობს სამხედრო მოსამსახურეების წვრთნებისა და განათლებისათვის გაწეული სახსრების არაეფექტიან ხარჯს.

„2019-2022 წლების მონაცემებით, თავდაცვის ძალებში გადინების მაჩვენებელმა, შემოდინების მაჩვენებელს 3 416 ერთეულით გადააჭარბა. თავდაცვის ძალები დატოვა 8 800 სამხედრო მოსამსახურემ, ხოლო ჩაირიცხა – 5 384. სამინისტროს ინფორმაციით, 2023 წლის 11 თვის მონაცემებით, გადინება-შემოდინების ტენდენცია დადებითია. კერძოდ, სამხედრო მოსამსახურეთა შემოდინების მაჩვენებელმა გადინების მაჩვენებელს 599 ერთეულით გადააჭარბა.

2017-2022 წლებში სამხედრო მოსამსახურეების მიერ დარღვეულ კონტრაქტებთან მიმართებით, სასამართლო საქმისწარმოება მიმდინარეობდა სულ 1 352 საქმეზე და სამინისტროს ფინანსური მოთხოვნა შეადგენდა 5 976 625 ლარს. 2023 წლის მაისის მდგომარეობით, მიმდინარე სტატუსი აქვს 713 საქმეს (53%), საიდანაც 500 (70%) საქმეზე არ ჩანიშნულა სასამართლო პროცესი, ან არ არის მიღებული გადაწყვეტილება. ამასთან, სასამართლოს მიერ ხშირად მნიშვნელოვნად მცირდება კონტრაქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა და შესაბამისად, სამინისტროს მოთხოვნა.

დაბალი მაჩვენებელია დაკისრებული ჯარიმების ამოღების მიმართულებითაც. სამინისტროს საფინანსო სამსახურის მონაცემებით, 2019-2022 წლებში, ჯარიმა დაეკისრა სულ 1 347 პირს, ჯამში – 5 003 649 ლარის ოდენობით, საიდანაც 2022 წლის მდგომარეობით, კვლავ გადასახდელია 4 361 109 ლარი (87%)“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

ხარვეზები სავალდებულო სამხედრო სამსახურში

საკონტრაქტო სამსახურის პირველ ეტაპზე კონტრაქტის შეწყვეტა არ ითვალისწინებს პირის დაჯარიმებას, რაც სახელმწიფო აუდიტორების ვარაუდით, შესაძლოა, წვევამდელებისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის თავიდან არიდების (ვადის გადაწევა) საშუალება იყოს. ეს ნიშნავს, რომ თუ პირს უწევს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა, მოქმედი კანონმდებლობით, მას აქვს უფლება, აირჩიოს საკონტრაქტო სამსახურის გავლა, ხოლო პირობა, რომ კონტრაქტის პირველ ეტაპზე შეწყვეტა დაჯარიმებისგან მას ათავისუფლებს, შესაძლებლობას აძლევს, ყოველგვარი დამატებითი პროცედურების გავლით, თავი აარიდოს (გადაავადოს) სამხედრო სავალდებულო სამსახური.

„დღევანდელი მდგომარეობით, არ არის შექმნილი წვევამდელთა შესახებ შესაბამისი რეესტრების წარმოების მიზნით, ერთიანი გამართული პროგრამული/საინფორმაციო ბაზა, რომელიც მოგვცემდა საშუალებას, მიგვეღო სრულყოფილი ინფორმაცია 2019-2022 წლებში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამოსაძახებელ პირებსა და მათზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

2024 წლამდე, წვევამდელის მოძებნის, გამწვევ კომისიაზე გამოცხადებისა და სხვა ინფორმაციის დადასტურების მიზნით, პროცესის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის უწყებებთან კოორდინაციის პროცედურები და ვადები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა. ეს წარმოშობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურის თავის არიდების ხელშეწყობის რისკს. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობდა მკაფიოდ განსაზღვრული სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც დაარეგულირებდა სამართალდამცავ ორგანოებთან კოორდინაციას, წვევამდელების მიმართ გამოიყენებოდა არაერთგვაროვანი მიდგომა“.

ცნობილია, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამოსაძახებელ პირთა რაოდენობა უწყებების მიხედვით განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით. ყოველი გაწვევისას, მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული რაოდენობა გამოსაძახებელ პირთა მხოლოდ 8%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ხორციელდება სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამოსაძახებელ პირთა რაოდენობის სრულად ადმინისტრირება.

„2019-2022 წლებში, გამოსაძახებელ პირთა მხოლოდ 4%, ხოლო მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული რაოდენობის – 28 523 მხოლოდ 52% ანუ 14 813 ჩაირიცხა შესაბამის უწყებებში, ეს კი ვერ ჩაითვლება ეფექტიან მაჩვენებლად. 2019-2022 წლების მთავრობის დადგენილებების მიხედვით წვევამდელთა სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში გადანაწილებისას, უშუალოდ თავდაცვის სამინისტროში გასანაწილებელ პირთა რაოდენობა საერთო რაოდენობის 38%-ს შეადგენდა, ხოლო ფაქტობრივად, 2019-2022 წლებში, თავდაცვის სამინისტროში სავალდებულო სამხედრო სამსახურში ჩაირიცხა 6 255 წვევამდელი, რაც დადგენილებით განსაზღვრული რაოდენობის 57%-ს შეადგენდა. ამასთან, სხვადასხვა სამინისტროში წვევამდელებისთვის სპეციალური თეორიულ-პრაქტიკულ სწავლება არაერთგვაროვანია. შესაბამისად, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის აღნიშნული პრაქტიკა არ არის ეფექტიანი და სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას, რადგან წვევამდელებს სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდგომ, გააჩნიათ არათანაბარი ხარისხის განათლება“.

მნიშვნელოვანი ის არის, რომ აუდიტის მიმდინარეობისას, დაიწყო მუშაობა თავდაცვის კოდექსის შემუშავებაზე, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის პროცესში. დღევანდელი მდგომარეობით, ეს კანონპროექტი დამტკიცებულია. თავდაცვის კოდექსის მიხედვით, 2025 წლიდან, წვევამდელები სამხედრო სავალდებულო სამსახურს მხოლოდ თავდაცვის სამინისტროში გაივლიან, რაც აღმოფხვრის არათანაბარი ხარისხის განათლების პრობლემას.

სამართალი

№8 10 აპრილი 2024 წ

18 წლის გოგომ მუშა ფანჯრიდან გადააგდო

„მამაშენმა ფული არ გადამიხადა და რაც დამაკლო, ნატურით მივიღე“

ბათო ჯაფარიძე

რემონტი – სიტყვა, რომელიც ყველას უყვარს და ყველას აშინებს. რემონტის დაწყება სერიოზული გადაწყვეტილებაა და ამბობენ, რომ ის არასდროს სრულდება, უბრალოდ, უნდა შეწყვიტო და ამით დაასრულო. საოცარია, მაგრამ ფაქტია – როცა მეზობელი რემონტს იწყებს, იმის მიუხედავად, რომ შეწუხებული სახე აქვს, სხვას მაინც შურს, უნდა, რომ თავადაც გააკეთოს, მაგრამ ზოგს შესაძლებლობა არ აქვს, ზოგს – ეზარება. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, ერთი შეხედვით, უწყინარი რემონტით დაიწყო და საბოლოო ჯამში, კრიმინალით დასრულდა.

ორი ასაკოვანი ქალი, ქვემო ქართლის ერთ-ერთი ქალაქის ახლადაშენებული კორპუსის წინ სეირნობდა, როცა მათ წინ, ლამის ცხვირწინ, ახალგაზრდა მამაკაცი დაეცა. ქალებმა კივილი დაიწყეს, მერე, ერთ-ერთმა ტელეფონი ამოიღო და სასწრაფოში დარეკა, მაგრამ მეორე კიოდა, აზრი არ აქვს, ეს ბიჭი ჩემი ბინიდან გადმოვრდა, სული ჰაერში გასძვრებოდაო. ადგილზე მისულ სამართალდამცავებს ჩვენება სწორედ ამ ქალმა მისცა.

„ამ კორპუსში კიდევ ერთი ბინა გვაქვს, სადაც მე, ჩემი შვილი და შვილიშვილი ვცხოვრობთ. რძალი მშობიარობას გადაჰყვა და ჩემს შვილს სხვა არ მოუყვანია, შვილიშვილი მარტომ გავზარდე – 18 წლის საოცარი გოგონა, უჭკვიანესი, უსაყვარლესი, ჰოდა, მან სთხოვა მამას, ცალკე მინდა ცხოვრებაო და ჩემმა შვილმაც, ამავე კორპუსში უყიდა ბინა, ახლოს რომ ჰყავდეს. რემონტი დავიწყეთ, ეს ბიჭი ჩვენთან მუშაობდა სარემონტო სამუშაოებზე და წარმოდგენა არ მაქვს, რატომ გადმოხტა. სულ ცოტა ჰქონდა დარჩენილი, დღეს უნდა დაესრულებინა და წარმოდგენა არ მაქვს, ასე რატომ მოიქცა“, – წუწუნებდა ქალი.

სამართალდამცავები ექსპერტიზის დასკვნას ელოდნენ, ძალიან სურდათ, რომ გარდაცვლილს ძალადობის ნიშნები არ ჰქონოდა და ასეც მოხდა – ექსპერტიზამ კვალი ვერ იპოვა ანუ ბიჭი კი არ გამოაგდეს, თავისით გადმოხტა, ან გადმოვარდა. საქმე დასახურად იყო გამზადებული, როცა პოლიციაში გარდაცვლილის მეგობარი მივიდა.

„მე და ჩემი მეგობარი ერთად, რამდენიმე წელია, ვმუშაობთ. აღარც კი მახსოვს, რამდენი სახლი გავარემონტეთ. მას ყველაფერი კარგად ჰქონდა, შემოსავალიც, ბედნიერი იყო, საცოლეც ჰყავდა. გამორიცხულია, თავი მოეკლა და უფრო გამორიცხულია, გადმოვარდნილიყო. მას ფანჯარასთან არაფერი ესაქმებოდა, იქ ნივთების ასაღებად იყო მისული, მუშაობას უკვე მოვრჩით. უნდა აეღო ინსტრუმენტები და მოეთხოვა დარჩენილი თანხა – 2 700 ლარი, რომლის გადახდასაც შემკვეთი არ აპირებდა, აქაოდა, ბევრი მომთხოვეთო ანუ ყველაფერზე შეთანხმებული ვიყავით და როცა საქმე დასრულდა, თანხის გადახდა აღარ მოისურვა. მგონია, რომ სწორედ მან გადმოაგდო ჩემი მეგობარი. რაც მთავარია, ზუსტად ვიცი, მას ეჭვი ჰქონდა, რომ მასალებს ვპარავდით და ამიტომ, ოთახებში ვიდეოთვალი ჰქონდა დაყენებული, ვითომ დამალული, მაგრამ ჩვენ ვნახეთ და გვეცინებოდა. თუ ყველაფერი ასე მარტივად არის, მაშინ გვანახოს ჩანაწერები და ზუსტად გვეცოდინება, რა მოხდა“, – განაცხადა მან.

ვიდეოთვალის შესახებ გამოძიებამ არაფერი იცოდა, რაც მთავარია, არც სახლის მეპატრონეს უთქვამს რამე და ეს იმას ნიშნავდა, რომ ის რაღაცას მალავდა. რა თქმა უნდა, სახლის მეპატრონე გამოკითხვაზე დაიბარეს.

„რამდენიმე ვიდეოთვალი მართლაც მქონდა დაყენებული, რადგან ახლაც დარწმუნებული ვარ, ძვირადღირებულ მასალებს მპარავდნენ. მას შემდეგ, რაც ვიდეოთვალი დავაყენე, ყველაფერი რიგზე იყო და როგორც ვიანგარიშე, მთლიანობაში 3 ათას ლარზე მეტი მომპარეს. ჰოდა, დარჩენილი თანხა არ გადავუხადე. რაც შეეხება კამერებს, რამდენიმე დღის წინ ავიღე იმიტომ, რომ მუშაობასაც მორჩნენ და მოსაპარიც აღარაფერი იყო. როგორც ვიცი, ნივთების წასაღებად მოვიდა ის ბიჭი და არ ვიცი, რა მოელანდა, შეიძლება გადახტა, შეიძლება – გადავარდა. ფანჯარა ღია იყო, მასზე მხოლოდ მისი თითის ანაბეჭდები გახლდათ ანუ ვიღაც რომ ყოფილიყო, ხომ ვერ გაწმენდდა და მერე ახლიდან გააკეთებდა გარდაცვლილის ანაბეჭდებს? არ მესმის, რა არის გაურკვეველი და რატომ მართმევთ დროს“, – სახლის მეპატრონე საკმაოდ აგრესიულად საუბრობდა.

მას მაინც სთხოვეს კამერის ჩანაწერები, მაგრამ ბინის მეპატრონემ განაცხადა, რომ ყველაფერი ნაგავში გადაყარა, რადგან ვიდეოთვალები უხარისხო და იაფფასიანი იყო, რაც სამართალდამცავებმა, რა თქმა უნდა, არ დაუჯერეს და დარწმუნდნენ, რომ ის რაღაცას მალავდა, მაგრამ რას? ერთადერთი, ვისზეც ეჭვი არ მიიტანეს, გარდაცვლილის მეგობარი იყო, რადგან რომ არა ის, საქმე უბრალოდ არ აღიძვრებოდა და თვითმკვლელობის, ან უბედური შემთხვევის მუხლით დაიხურებოდა. რიგში სახლის მეპატრონის შვილი იყო, 18 წლის გოგონა, რომელიც, მეზობლების თქმით, მუდმივად იქ იყო, როცა ბიჭები რემონტს აკეთებდნენ.

„რა არის ამაში უცნაური? ისინი ხომ ჩემს ბინას არემონტებდნენ და მინდოდა, ჩემს ჭკუაზე გაეკეთებინათ, მითითებებს ვაძლევდი, თუ რამე არ მომწონდა, შენიშვნებს ვეუბნებოდი. ჩვეულებრივი, სამუშაო პროცესი იყო და ამაში დანაშაულს ვერ ვხედავ. იმ დღეს, როცა უბედური შემთხვევა მოხდა, სახლში ვიყავი, ყვირილზე გარეთ გამოვიხედე და მერე გავიგე, რაც მოხდა“, – თქვა გოგონამ, მაგრამ გამომძიებლის კითხვაზე, მუშას კარი ვინ გაუღო, ან ვის უნდა დაეკეტაო, გოგონა აშკარად დაიბნა და თქვა, მათ თავის გასაღები ჰქონდათ და ალბათ, რომ დაკეტავდა, მოგვაწვდიდაო, რაც სიმართლეს აშკარად არ ჰგავდა. გამოდიოდა, რაღაცას გოგონაც მალავდა. დაჰკითხეს ქვედა მეზობელი, რომელიც ამტკიცებდა, ბინიდან ხმაური მესმოდა, დაძინება მინდოდა და ამიტომ, ვაბრახუნე, მაგრამ კარი არ გამიღეს, მერე კი გავიგე, რაც მოხდაო. ჰოდა, ყველაზე საინტერესოც ეს იყო – როგორც ქვედა მეზობელი ყვებოდა, იმის გამო, რომ ვერ დაიძინა, ტელევიზორი ჩართო და სწორედ იმ დროს, 12-სათიანი საინფორმაციო დაიწყო, თუმცა პირველივე სიუჟეტის გასვლის შემდეგ, ზედა ბინაში ავიდა და დააკაკუნა, მაგრამ კარი არ გაუღეს. არადა, ხმაური აშკარად ჩამოდიოდა, ვიღაც იატაკზე გამეტებით აკაკუნებდა. ბიჭი კი ბინიდან მაშინ გადავარდა, როცა 12-ს ხუთი წუთი აკლდა, ამას ეზოში მყოფი ორი კაცი ამტკიცებდა, აქაოდა, მაშინვე საათს დავხედეთ, რადგან ჩავთვლეთ, რომ გამოძიებისთვის ზუსტი დრო საინტერესო იქნებოდაო. ორივეს საათი გამართულად მუშაობდა და გამოდიოდა, რომ მას შემდეგ, რაც ბიჭი ბინიდან გადავარდა, ვიღაც კიდევ ბინაში იყო და... იატაკზე ისეთ ხმაზე აკაკუნებდა, მეზობელი შეწუხდა. სამართალდამცავებმა ახლად დაგებული ლამინატი შეამოწმეს და ერთგან დაზიანება ნამდვილად ნახეს. ექსპერტიზამ დაზიანებული ადგილებიდან მცირე ნაწილაკები ამოიღო და დაასკვნა, რომ ეს პლასტმასი და შუშის მცირე ნაწილაკები გახლდათ ანუ ვიღაც იატაკზე პლასტმასის და შუშის რაღაც ნივთს ამტვრევდა, მაგრამ რას?

„რას და, ვიდეოთვალს!“ – იყვირა გამომძიებელმა და ცხადი გახდა, რომ ბინის მეპატრონე რაღაცას საგულდაგულოდ მალავდა, ის რაღაც კი, სწორედ ვიდეოთვალზე იყო აღბეჭდილი. სასწრაფოდ შეამოწმეს მისი ფეხსაცმელები და ერთ-ერთის ძირიდან სწორედ იგივე ნაწილაკები ამოიღეს. დამალვას აზრი არ ჰქონდა და ბინის მეპატრონემ თქვა, რომ მუშაზე ძალიან იყო გაბრაზებული, ხელი სწორედ მან ჰკრა და ფანჯრიდან გადააგდო. ძიება შესაძლებელი იყო დასრულებულად გამოეცხადებინათ, თუმცა განყოფილებაში დაკავებულის შვილი მივიდა.

„მამაჩემი უდანაშაულოა, ის ბიჭი მე გადავაგდე ფანჯრიდან და ახლავე აგიხსნით, რატომ. პირველივე დღიდან მეპრანჭებოდა და მეც მთელი გულით შემიყვარდა. როცა ვუყურებდი წელს ზემოთ შიშველ, დაკუნთულ სხეულს, ელეთ-მელეთი მემართებოდა. მერე, რამდენჯერმე მარტო მოვიდა და მთხრა, რომ ჩემზე გიჟდებოდა, რომ ჩემს გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო, რომ ამ სახლს ისე არემონტებდა, როგორც საკუთარს და... მე, ჩემს ურემონტო ბინაში, პირველად მქონდა ურთიერთობა მამაკაცთან. ვიცოდი, რომ იქ ვიდეოთვალები იყო, ამიტომ ყველაფერი საპირფარეშოში მოხდა. ბედნიერი ვიყავი, ძალიან ბედნიერი. იმ დღეს კი, როცა ბოლოჯერ მოვიდა, ვკითხე, შენი მისამართი მითხარი, მომავალში ხომ უნდა ვიცოდე, სად შევხვდებით-მეთქი და დამცინა, შენ გგონია, მართლა მიყვარხარ? მამაშენმა ფული არ გადამიხადა და რაც დამაკლო, ნატურით მივიღე, მაგრამ 2 700 ლარი ნამდვილად არ ღირხარო. ამ დროს, ღია ფანჯარაში, რაფაზე იდგა და რაღაცას ასწორებდა. თვალთ დამიბნელდა და ახლაც არ მახსოვს, ხელი როგორ ვკარი. მერე, გამოვიქეცი და მამაც მოვიდა, ის ეზოში იყო, ტელეფონში უყურებდა, რა მოხდა. მერე, ვიდეოთვალი დაამტვრია და თითქოს ყველაფერი მორჩა, მაგრამ... არ ვნანობ, რაც ჩავიდინე“, – განაცხადა გოგონამ.

სასამართლომ მას აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედება დაუფიქსირა და 4 წლით პირობითი მსჯავრი მიუსაჯა.

ბათო ჯაფარიძე

ხანდახან ფიქრობ, რა არის ქვეყნისთვის ყველაზე დიდი პრობლემა? პოლიტიკურ ამბებში რომ არ შევიდეთ, რიგითი ადამიანების ოცნება ტერიტორიული მთლიანობა, ღირსეული სამსახური, ღირსეული ჯამაგირი და პენსიაა. ერთი შეხედვით, მოთხოვნები არცთუ რთულია, გარდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა – ჩვენი მიწები უომრად რომ დავიბრუნოთ, რუსეთის იმპერია უნდა დაიშალოს მარტივ მამრავლებად. სოციალურ მდგომარეობას რაც შეეხება... ფურცელზე, ყოველწლიურად, თითქოს, წინ მივიწევთ, მაგრამ სოციალური პაკეტების მიმღებთა რიცხვიც ყოველწლიურად იზრდება. ამას დაუმატეთ ისიც, რომ თურმე, საქართველოს იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც 2024 წლის 18 მარტის მდგომარეობით, არ ფლობენ არც საქართველოს მოქალაქის პასპორტს, არც პოირადობის ელექტრონულ და არც არაელექტრონულ მოწმობას, ჯამში, 860 918-ია. მათ შორის, არასრულწლოვანი 691 387-ია, ხოლო სრულწლოვანი – 169 531. ამასთან, საქართველოს მოქალაქე ვალდებულია, 14 წლის ასაკის მიღწევიდან ექვსი თვის განმავლობაში, აიღოს პირადობის ელექტრონული მოწმობა, ხოლო კანონიერი წარმომადგენლის სურვილის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის დამზადება შესაძლებელია 14 წლამდე ასაკის პირებზეც. **ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამჟამინდელი მდგომარეობით, 169 531 სრულწლოვანი ადამიანი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას, უბრალოდ, ვერ მიიღებს.**

ისევ მოქალაქეთა პრობლემებს დავუბრუნდეთ. საცხოვრებლის პრობლემა მილიონამდე ოჯახს აქვს. ჰო, მილიონამდე ოჯახი ან საერთოდ არ ფლობს საკუთარ ფართს, ან ფლობს ისეთს, რომელიც მის სულადობას არ შეესაბამება. ბევრი ოჯახია, სადაც ხუთი-ექვსი წევრია და ისინი ერთ ოთახში ცხოვრობენ. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, სულ ახლახან მოხდა და ტრაგედია სწორედ ბინის გამო დატრიალდა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ პოლიციის განყოფილებაში ქალბატონი მივიდა, რომელმაც განაცხადა, არ მჯერა, რომ დედაჩემი შემთხვევით მოკვდა, ის მოკლეს და გთხოვთ, საქმე გამოიძიოთო. არადა, საქმე უკვე გამოძიებული იყო და სამართალდამცავებს კითხვები არ ჰქონდათ.

„გარდაცვლილია 70 წლის ქალბატონი, გარდაცვალების მიზეზი დაცემაა, რომლის დროსაც, მან თავი სკამის კუთხეს ჩამოარტყა, რამაც თავის ქალის ძვლის მოტეხილობა გამოიწვია და ქალბატონი ადგილზე გარდაიცვალა. მის სხეულზე არ აღინიშნებოდა ძალადობის კვალი, კარის საკეტი არ იყო დაზიანებული და მეზობლებს, რომლებიც იმ დროს სახლში იყვნენ, ხმაური არ გაუგიათ“, – ეწერა ექსპერტიზის დასკვნაში.

ოთხოთახიანი ბინა, სადაც ქალი ცხოვრობდა, პირველ სართულზე იყო და იქვე, ფანჯრის ქვემოთ, მოხუცი მზესუმზირასა და მიწის თხილს ჰყიდდა. მისი თქმით, ხმაური არ გაუგია და ის, რომ ვიღაც გარდაიცვალა, მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, რაც ქალი შვილმა იპოვა და კივილი ატეხა. თითქოს, ყველაფერი ლოგიკური და მარტივი გახლდათ, მაგრამ...

„ბოლო ორი თვის განმავლობაში, დედა ამბობდა, რომ ღამით რაღაც ხმები ესმოდა, რომ ფანჯარაზე უკაკუნებდნენ, რომ უცნაურ ხმებს გამოსცემდნენ და ამის გამო, ძალიან ეშინოდა. მეტიც, ის მკითხავთან დადიოდა, რომელმაც უთხრა, ჯადო გაქვს გაკეთებულიო და მთელი დანაზოგი, 3 ათას ლარზე მეტი მიატანინა, აქაოდა, ჯადო რომ მოგეხსნას, ძვირადღირებული პრეპარატები მაქვს საყიდელიო. რაც მთავარია, მე რამდენჯერმე დავრჩი დედასთან, თუმცა ხმა არ გამიგია, მაგრამ იცით, რატომ მგონია, რომ არ იტყუებოდა? სიკვდილამდე სამი დღით ადრე დამირეკა და მითხრა, ჩემს ფანჯარას გუშინ, მთელი ღამე, ქვიშას აყრიდნენო. მივედი და ფანჯრის ქვემოთ ნახევარ კილომდე ბრინჯი და წიწიბურა ეყარა ანუ ვიღაც მართლა აკეთებდა ისეთ რამეს, რაც დედას გაანერვიულებდა, ჭკუიდან გადაიყვანდა, 70 წლის ქალს მეტი რა უნდა? ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ის მკითხავი ხომ არ აკეთებდა ამას, დედას რაც შეიძლება, მეტი ფული რომ მიეტანა? არც დაცემის მჯერა, ასაკის მიუხედავად, დედა ფეხზე მყარად იდგა, სახლში არც ხალიჩა გვაქვს, ფეხი რომ წამოსდებოდა და სკამი, რომელზეც თავი ჩამოარტყა, შემთხვევით არ იქნებოდა გამოწეული, იქ ვიღაც იჯდა. დედა ან სავარძელში, ან დივანზე ისვენებდა ხოლმე, არასდროს მინახავს სკამზე დამჯდარი და ალბათ, ვიღაცამ ის სკამი გამოსწია“, – ამბობდა ქალი.

როგორ დაგეგმა ფეხმძიმე რძალმა მულის 70 წლის დედამთილის მკვლელობა

სისხლიანი ოჯახური დრამის დეტალები

სამართალდამცავები ამ ისტორიით იმიტომ დაინტერესდნენ, რომ მკითხავზე, რომელზეც დაზარალებული საუბრობდა, ბევრი ინფორმაცია არსებობდა, რომ ის მოქალაქეებს ძარცვავდა და მუდმივად რაღაც სკანდალებში იყო გახვეული. ამიტომ, ახალგაზრდა ოპერმუშაკ გოგოს შესაბამისი ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს და მკითხავთან გაუშვეს. ოპერმა მჩხიბავს უთხრა, სამსახურის უფროსი მაიძულებს, მასთან ინტიმური ურთიერთობა მქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგდებით მემუქრება და რამე მიშველეო. მკითხავი დაპირდა, ისეთ წამალს დაგიმზადებ, უფროსი შეგეშვება, მაგრამ ყველაფერი 6 ათასი ლარი დაჯდება და შეგიძლია, ფული ნაწილ-ნაწილ გადაიხადო, თან ეს სითხეც ნაწილ-ნაწილ უნდა შეაპარო ყავაში ან ჩაიშიო. მან ბევრი ისაუბრა ჯადოზე, დახურულ ბედზე, კიდევ რაღაც-რაღაცებზე და როცა პოლიციელის მოწმობა აუფრიალეს თვალწინ, გაქცევა სცადა, თუმცა კართან კიდევ ორი სამართალდამცავი ელოდა.

„ის, რომ სულელებს ვატყუებ, ვაღიარებ, მაგრამ მე არავის ვაძალებ ფულის მოტანას, ყველას თავისით მოაქვს და მადლიერიც ბევრი მყავს. რაც შეეხება მკვლელობას, სულელი ვიყავი, ის ქალი მომეკლა? ჩვეულებრივი მეწველი ძროხა იყო, თუ რამეს შოულობდა, ჩემთან მოჰქონდა. მე, ეგებ, პროფესიონალი მატყუარა ვარ, მაგრამ მკვლელი – არა“, – განაცხადა დაკავებულმა. რაც მთავარია, იმ დღეს, როცა ქალი გარდაიცვალა, მკითხავს სპეცკლიენტი ჰყავდა, თანამდებობის პირი, რომელმაც მასთან ღამის მთელი დღე გაატარა და ეს რკინის ალიბი იყო.

გარდაცვლილს, გოგოს გარდა, ბიჭიც ჰყავდა, რომელიც ცოლსა და ორ შვილთან ერთად, ცოლის ძმასთან ცხოვრობდა. როგორც გაირკვა, დედას სარძლო არ მოსწონდა და რადგან შვილმა არ დაუჯერა, სახლიდან გააგდო. ხომ წარმოგიდგენიათ, სამოთახიან ბინაში – ცოლ-ქმარი და კიდევ ცოლ-ქმარი, ორი შვილით. ცოლის ძმას ბავშვი არ ჰყავდა, თუმცა ძალოვნებმა გაარკვიეს, რომ ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, ცოლი ორსულად ჰყავდა და მესამე ბავშვი ბინაში აშკარად ვეღარ დაეტეოდა. გამოდიოდა, რომ ყველაზე მეტად ქალის სიკვდილი... მის შვილს აწყობდა, ამიტომ სამართალდამცავებმა ვაჟის დაკითხვა გადაწყვიტეს.

„დედას მძიმე ხასიათი ჰქონდა, იმის მიუხედავად, რომ იცოდა, როგორ გაჭირვებით ვცხოვრობდი, ბინაში მაინც არ მიშვებდა. თუმცა, მისი მოკვლა არასდროს მიფიქრია, ის ხომ დედაა. ახლა საბუთებს ვაგვარებ და გადავალ ბინაში, მაგრამ გამიჭირდება იქ ცხოვრება, სადაც დედა გარდაიცვალა“, – ბიჭი აშკარად გულწრფელი იყო და მისგან მკვლელი ნამდვილად არ გამოვიდოდა.

სამაგიეროდ, ცოლის ძმის მეზობლებმა მოაღეს პირი და განაცხადეს, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში, ოჯახში სიტუაცია აირია და დიასახლისი მულს მუდმივად უყვიროდა, წაეთრიეთ ჩემი სახლიდან, არ მაინტერესებს, სად იცხოვრებთ, მე მინდა ჩემი ოჯახი მქონდეს, მალე შვილი გამიჩნდება და არ მინდა, ამ საგიჟეთში მოვიყვანოო. მეტიც, ქალმა რამდენჯერმე გაფენილი სარეცხი პირდაპირ ეზოში გადაყარა, მეც სარეცხი მაქვს გასაფენი და საკუთარ სახლში რიგში დგომას არ ვაპირებო. მას შემდეგ, რაც მოხუცი გარდაიცვალა, ქალი დაწყნარდა და მშვიდად ელოდა, როდის გადავიდოდნენ მისი მდგმურები მისივე სახლიდან. გამომძიებელმა ექსპერიმენტის ჩატარება მოიფიქრა და ამისთვის გარდაცვლილის შვილები დასჭირდა. იმავე საღამოს, და ძმის დროებით საცხოვრებელში ანუ მის ცოლის ძმასთან მივიდა და მაგიდაზე ფურცელი დადო. მართალია, ნოტარიუსის მიერ შედგენილი ცნობა პოლიციის გაკეთებული და ყალბი იყო, მაგრამ ოფიციალური ბეჭედი ერტყა და ეჭვს ვერავინ შეიტანდა. ცნობაში კი ეწერა, რომ დედამ ბინა ქალიშვილს დაუტოვა და ძმას მასზე უფლება არ ჰქონდა.

„ბოდიში, ძმაო, მაგრამ ხომ იცი, მეც ოროთახიანში ვცხოვრობ, ორ შვილთან ერთად, ბავშვებს თავიანთი ოთახები არ აქვთ. ამიტომ, ამაღამ დედას ბინაში დავრჩები, ქმარ-შვილი სოფელში არიან და ხვალ დილით მოდი, შენი ნივთები, რაც გადმოიტანე, უკან წაიღე“, – მშვიდად თქვა ქალმა და ბინიდან გავიდა.

საღამოს, გარდაცვლილის ბინაში, მისი შვილი და ორი ოპერმუშაკი მშვიდად სვამდნენ ჩაის, ოღონდ ქალი ღია, განათებულ ოთახში, პირველი სართულიდან რომ კარგად გამოჩენილიყო, ოპერები – სამზარეულოში. კარზე კაკუნის ხმა გაისმა და ოპერები გაირინდნენ. ქალმა კარი მშვიდად გააღო და ზღურბლზე თავისი ძმის ცოლის ძმის ცოლი დაინახა – ის, რომელიც ბავშვს ელოდა და რომელიც ცდილობდა, როგორმე, მული ბინიდან გაეგდო. ქალმა მოსული ოთახში შეიპატიჟა და მანაც დაიწყო:

„არ გაქვს უფლება, ძმას ასე მოექცე, ჩვენს მდგომარეობაშიც ხომ უნდა შეხვიდე? შენი ძმა ჩემთან რატომ უნდა ცხოვრობდეს? აქ გადმოვიდეს და აქ იცხოვრეთ ერთად, ან ის შენი ოროთახიანი დაუთმე“, – და როცა მასპინძელმა თავი გადააქნია, ყელში სწვდა და დახრჩობა დაუპირა. ოპერმუშაკებმა ხელები მარტივად გადაუტრიალეს და დივანზე დასვეს. იქვე აუხსნეს, რომ მკვლელობის მცდელობაზე უკვე დაკავებული იყო და თუ სხვა დანაშაულსაც აღიარებდა, ეგებ, სასჯელი შეემსუბუქებინათ.

„11 წელი შვილს ველოდი და აგერ, ორსულად ვარ. მივხვდი, ჩემი მულისა და მისი გიჟი ბავშვების ხელში ცხოვრება ჯოჯოხეთი იქნებოდა. ამიტომ, მოხუცთან დალაპარაკება გადავწყვიტე, პირადად ავუხსენი ყველაფერი და მისგან მხოლოდ დაცინვა მივიღე. ვერ მოვითმინე და ხელი ვკარი, თავი რომ ჩამოარტყა, შემეშინდა, მაგრამ სამედიცინო განათლება მაქვს და პულსი გავუსინჯე. მერწმნეთ, მაშინვე გათავდა, თორემ სასწრაფოს გამოვუძახებდი. მეგონა, ყველაფერი დალაგდა, დღეს კი, ეს ქალბატონი ნოტარიუსის ცნობით მოვიდა და ისე ვინერვიულე, კინაღამ მუცელი მომეშალა. მკვლელობის მცდელობა აფექტი იყო, მე ორსულად ვარ“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ ქალს 4 წელი რეალური და 7 წელი პირობითი მიუსაჯა, ბინაში კი... გარდაცვლილი ქალის ბიჭი გადავიდა ცოლ-შვილთან ერთად.

ბათო ჯაფარიძე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მეგობრებმა, თანაკლასელებმა, ძმებმა, ან უბრალოდ მეზობლებმა საერთო ბიზნესი დაიწყეს. ორი-სამი ადამიანი ერთიანდებოდა და ცდილობდა, რამე გაეკეთებინა, რომ გადარჩენილიყო და საღამოს სახლში საკვები მიეტანა. მაშინ უფრო მეტზე არც პრეტენზია ჰქონდა ვინმეს და რეალურად, არც მეტის შესაძლებლობა იყო. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, ბიზნესის გამო, მეგობრებს შორის ჩხუბი და საქმის გარჩევა იწყებოდა, რაც იმ წლების გათვალისწინებით, ხშირად ფატალური შედეგით სრულდებოდა. ძირითადად, საქმეში „კანონიერი ქურდები“ ერეოდნენ და სამწუხაროდ, ტენდენცია, რომ საქმე „კანონიერმა ქურდმა“ უნდა გაარჩიოს, დღემდე კვლავ არის. საზღვარგარეთ დარეკვები, მეზობელ თურქეთში ჩასვლა, რათა იქ კრიმინალურ ავტორიტეტს შეხვდე და ესაუბრო, არც თუ იშვიათია. საბედნიეროდ, შსს ამას აქტიურად ებრძვის და იმედია, ადრე თუ გვიან, ახალგაზრდობის ის ნაწილიც, რომელიც ამ მენტალიტეტით ცხოვრობს, მიხვდება, რომ 21-ე საუკუნეში, ბევრად საინტერესო ამბები შეიძლება ხდებოდეს, ვიდრე „ქურდული“ ცხოვრებაა.

ორმაგი მკვლელობა

დაქირავებული „ქილერი“ ქალი და ტრაგიკული სასიყვარულო სამკუთხედი

სწორედ ავადსახსენებელ 90-იანებში ერთი, მეტად საინტერესო რამ მოხდა. ბავშვობის მეგობრებმა ბიზნესი დაიწყეს, საქმე კარგად მისდიოდათ, იმდენად კარგად, რომ იმ დროისთვის საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდნენ და ერთ დღეს, ორივე გარდაიცვალა. უფრო ზუსტად, ერთ-ერთი მათგანი მოკლეს, მეორე კი, შინ, გულის შეტევით გარდაცვლილი იპოვეს. გულის შეტევა არ იყო კრიმინალი, აი, იარაღით მკვლელობა კი... თუმცა, ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ გულით გარდაცვლილს, სიკვდილამდე, სწორედ გულის მხარეს, ვიღაცამ ძალიან ძლიერად დაარტყა და იმ ვიღაცას ხელზე საკმაოდ მოზრდილი, თვლიანი ბეჭედი ეკეთა. გულის გაჩერებაც სწორედ ამ დარტყმამ გამოიწვია. გამოდიოდა, რომ ძალოვნებს ორი მკვლელი უნდა ეძებნათ.

იარაღით მოკლული მამაკაცის მეუღლე ამბობდა, დილით სახლიდან გავედი, ჩემმა ქმარმა თავის პარტნიორთან გამაგზავნა, რაღაც უმნიშვნელო საქმეზე, რომ მივედი, ის სახლში, გადასარევ ხასიათზე დამხვდა, ვუთხარი, რაც ქმარმა დამაბარა, მერე შინ დავბრუნდი და საკუთარი მეუღლე, სამზარეულოში სისხლში ამოსვრილი ვნახე, მაშინვე კივილი დავიწყე და როგორც მერე მითხრეს, ის მაყუჩიანი იარაღით არის მოკლულიო. გამოდიოდა, რომ ორივე გარდაცვლილი ცოცხალი სწორედ ერთ-ერთის მეუღლემ ნახა, გულით გარდაცვლილს კი ცოლი არ ჰყავდა, მაგრამ მეზობლები ამბობდნენ, ყოველდღე, სხვადასხვა ქალთან ერთად ჩნდებოდა და ამ ამბავს შეჩვეულები ვიყავითო. იმ დღესაც, მასთან ახალგაზრდა ქალბატონი მივიდა და გარდაცვლილიც მან ნახა, მეზობლებსაც მან უთხრა და დარწმუნებული იყო, რომ კავალერი უბრალოდ გულით გარდაიცვალა, მაგრამ როცა უთხრეს, მკვლელობა მოხდაო, დაფრთხა, მერე შეშინდა, აქაოდა, ხომ შეიძლებოდა, ბინაში მკვლელი მეც გადამყროდა და ზედ წავეკალიო.

რაც შეეხება იარაღით მოკლულ მამაკაცს, მეზობლები ამბობდნენ, რომ ეზოში უცხო არავინ დაუნახავთ და მხოლოდ მოკლულის ცოლი მოძრაობდა. მეტიც, მისი სახლიდან გასვლისა და დაბრუნების დრო, მეზობლეების მონაყოლს არ ემთხვეოდა, რადგან ერთბაშად რამდენიმე მეზობელი ამტკიცებდა, ქალი სახლიდან რომ გავიდა, ზუსტად ათ წუთში უკან მობრუნდა და მერე ისევ გავიდა, არ შეგვეშლებოდა, რადგან წითელი კაბა ეცვა, თავზე თავსაფარი ჰქონდა მოხვეული და შავი სათვალე ეკეთაო. არც ქალი უარყოფდა, რომ სახლიდან სწორედ ასე ჩაცმული გავიდა, მაგრამ იფიცებოდა, უკან მხოლოდ ერთი საათის მერე დავბრუნდი, არც ათი წუთის შემდეგ მივბრუნებულვარ და მით უმტეს, ქმარი არ მომიკლავსო.

გამომძიებლებმა გარდაცვლილების გარემოცვის შესწავლა დაიწყეს და გარდა იმისა, რომ მათი ხელქვეითების დაკითხვა გადაწყვიტეს, იმის გარკვევასაც ცდილობდნენ, ვინმე მეგობრებს ბიზნესს ხომ არ „ახევდა“ და ხომ არ ჰქონდათ პრობლემები კრიმინალურ სამყაროსთან.

„კრიმინალები მუდმივად მოდიოდნენ, მაგრამ ჩვენი შეფები მშიშრები არ იყვნენ, ყველას მაგრად დაუხვდნენ, „რაზბორკებზეც“ ერთად დადიოდნენ და საბოლოო ჯამში, ისე მოხდა, რომ მათ აღარავინ აწუხებდა. სამაგიეროდ, ერთად ველარ გრძნობდნენ თავს კარგად, მუდმივად საუბრობდნენ გაყოფაზე, რომ ბიზნესი გაენაწილებინათ, დამოუკიდებლები ყოფილიყვნენ და ამას ხელი მგონი იმანაც შეუწყო, რომ გულით გარდაცვლილი მოკლულის ცოლს ეარშიყებოდა. მგონია, რომ არც ქალი იყო მის მიმართ გულგრილი და საბოლოო ჯამში, განხეთქილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ესეც იყო“, – განაცხადა ერთ-ერთმა თანამშრომლებმა.

არც სხვებმა დამალეს, რომ მეგობრებს შორის უთანხმოება სწორედ ცოლის გამო ჩამოვარდა და ისიც დაადასტურეს, დარწმუნებულები ვართ, ქალი ამ ურთიერთობის წინააღმდეგი არ იყო, რადგან ყოფილა შემთხვევა, სამსახურში მაშინ მოსულა, როცა ქმარი არ იყო ადგილზე და მის პარტნიორთან, კაბინეტში ერთი-ორი საათით იკეტებოდაო. გამოდიოდა, რომ გარდაცვლილებს რაღაც მართლა ჰქონდათ გასაყოფი, მაგრამ როგორ მოხდა ისე, რომ ორივე ერთ დღეს, პრაქტიკულად, ერთსა და იმავე დროს მოკლეს?!

საქმეში აგენტურული ქსელი ჩაერთო და მათი ინფორმაციით, საქართველოს დედაქალაქში, მოლდოვას მოქალაქე ქალი იყო ჩამოსული, რომელიც... დაქირავებული „ქილერი“ გახლდათ და თბილისში რამდენიმე დავალება უნდა შეესრულებინა. სხვათა შორის, „ქილერს“ ჩადენილი მკვლელობების გამო, მოლდოვის გარდა, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინაშიც ეძებდნენ. ძალოვანთა სამწუხაროდ, არცერთმა აგენტმა არ იცოდა, სად და ვისთან ცხოვრობდა და მეტიც, არც ის იცოდნენ, ვის მოსაკლავად იყო ჩამოსული საქართველოში. სამართალდამცავებმა აეროპორტებისა და რკინიგზის კონტროლი დაიწყეს, რეიდები გაახშირეს დედაქალაქიდან გასასვლელ პოსტებზე, თუმცა უშედეგოდ. სამაგიეროდ, თავისი საქმე... ნარკოტიკმა ქნა.

სამართალდამცავებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ნარკომანების ჯგუფი დააკავეს, რომლებსაც ნარკოტიკული საშუალებებიც თან ჰქონდათ და ანალიზმა აჩვენა, რომ მომხმარებლებიც იყვნენ. წინასწარი დაკავების იზოლატორში ყველას „ლომკა“ დაეწყო, განსაკუთრებით, ერთ-ერთი იყო მძიმე დღეში და იმ დროს, არც ექიმებს ჰქონდათ იმდენი შესაძლებლობა და პრეპარატები, „ლომკა“ მოეხსნათ და არც ძალოვნები იწვოდნენ დიდად სურვილით, რომ დახმარებოდნენ, თუმცა სწორედ იმან, რომელსაც ყველაზე მეტად უჭირდა, უფროსთან შეხვედრა მოითხოვა, ისეთი ინფორმაცია მაქვს, წამალს თავის ხელით გამიკეთებსო. რა თქმა უნდა, შეხვედრა შედგა.

„ვიცი, რომ მოლდოველ „ქილერს“ ეძებთ. ზუსტად ვიცი, სად იმყოფება, მაგრამ სანაცვლოდ, ერთი კვირის განმავლობაში, ნარკოტიკი უნდა გამიკეთოთ, დოზები ეტაპობრივად შემიმციროთ, რომ „ლომკის“ გამო, არ მოვკვდე და მისამართს კიდევ უტყუარს გეტყვით“, – განაცხადა მან და ბოლო სიტყვა ნათქვამიც არ ჰქონდა, როცა უფროსისგან გარანტია მიიღო.

მითითებულ მისამართზე ოპერჯგუფის გარდა, სპეცდანიშნულების რაზმიც გავიდა. გამოცდილ „ქილერს“ შეიძლებოდა, ისეთი წინააღმდეგობა გაეწია, მხოლოდ ოპერები ვერაფერს გამხდარიყვნენ. სახლს ალყა შემოარტყეს და როცა ეჭვმიტანილმა ფანჯარაში გამოიხედა, ხმამაღლა დაიძახა, არ ისროლოთო და იარაღები ფანჯრიდან გადმოყარა.

„ერთი მკვლელობა ჩავიდინე და იმას ვაღიარებ. მოკვლა პარტნიორმა შემიკვეთა, თან უნდოდა, რომ ყველაფერი მის ცოლს დაბრალებოდა. ამიტომ, ქალს ტელეფონზე დაურეკა და უთხრა, ჩემთან მოდი, ოღონდ ჩემი ნაჩუქარი კაბა ჩაიცვი, ჩემი ნაჩუქარი თავსაფარი მოიხვიე და ჩემი ნაჩუქარი სათვალე გეკეთოსო. ის იდიოტკაც სწორედ ასე გამოეწყო და ანალოგიურად მეც გამოვეწყვე, მეზობლებს კარგად დავენახე, ამ დროს სახეზე ნაკლებად გათვალიერებენ. ეგ კი არა, როცა კარზე დავაკაკუნე, კარის წინ თავდახრილი დავდექი და ქმარმაც მარტივად გამიღო კარი, მერე ოთახში შებრუნდა, არც დააკვირდა, ზღურბლზე ვინ იდგა, დარწმუნებული იყო, ცოლი მობრუნდა. მაყუჩიანით მოვკალი და როცა დარჩენილ ფულზე მივაკითხე იმ იდიოტს, უკვე მილიციანირეოდა. მქონდა თუ არა სხვა შეკვეთები, თქვენთვის საინტერესო არ უნდა იყოს“, – განაცხადა დაკავებულმა და... ის არც ჩვენთან, არც უკრაინაში და არც მოლდოვაში არ გაუსამართლებიათ, რუსეთში წაიყვანეს და ზოგი ამბობდა, არ გაასამართლეს, საბრძოლველად გაუშვესო.

ერთი საქმე კი გახსნილი იყო, მაგრამ მეორე? დაკითხვაზე იარაღით მოკლულის ცოლს დაუძახეს და გამომძიებელს თვალში მისი დიდთვლიანი ბეჭედი მოხვდა. ამიტომ, მას სცენა დაუდგეს, უთხრეს, რატომ იყო ქმრის მეგობართან იმ დილით წასული, ისიც უთხრეს, რატომ ეცვა ისე, როგორც ეცვა და ისიც, მოწმე გვყავს, რომელიც ხელს გადებს, ფანჯრიდან დაინახა, მკერდში ხელი როგორ დაარტყი, რის მერეც შენს საყვარელს გულის შეტევა დაემართაო. ქალმა სახეზე ხელი აიფარა და... ყველაფერი დაფქვა.

„დარტყმა არ მინდოდა... დარწმუნებული ვიყავი, ადრე თუ გვიან, ჩემზე იქორწინებდა, მაგრამ იმ დილით გამომიცხადა, მომწყინდა შენთან კოტრიალი, აქ მოსული აღარ დაგინახოო. გამეტებით სწორედ მაშინ ჩავარტყი, ისიც დავინახე, რომ დაეცა, მაგრამ არ მიფიქრია, რომ გულის შეტევა დაემართებოდა. უბრალოდ, წამოვედი და ყველაფერი მერე გავიგე“, – განაცხადა მან და... სასამართლომ მას პირობითი მსჯავრი შეუფარდა, რადგან ოფიციალურად დამტკიცდა, რომ შეიძლება, ანალოგიურად, მილიონში ერთი შემთხვევა მოხდეს და გულისცემის დროს, ზუსტად კონკრეტულ წერტილსა და კონკრეტულ დროს უნდა მოარტყა ხელი, რასაც ქალი ნამდვილად ვერ გათვლიდა.

ბიზნესს რაც შეეხება, ქმრის დამარხვიდან ერთ კვირაში, ქალმა ბიზნესი კაპიკებში მიაყიდა და როგორც ამბობდნენ, მას საქმე „აახიეს“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, შეხვედრა გორში, „ამერიკულ სკოლაში“ გამართეს.

სამინისტროს წარმომადგენლებმა სკოლის მოსწავლეებს ინფორმაცია სხვადასხვა მნიშვნელოვან თემებზე მიაწოდეს, მათ შორის, ისაუბრეს ნარკოდანაშაულთან ბრძოლასა და საგამოძიებო პროცესში კრიმინალისტიკური ექსპერტიზის მნიშვნელობაზე.

საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრების მიზანია, სკოლის მოსწავლეებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ასევე, არასრულწლოვნების მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულების პრევენცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტრეფიკინგის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს, გენერალური პროკურატურისა და სსიპ „შრომის ინსპექციის სამსახურის“ თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ტრეფიკინგის ბრალდებით, 1981 წელს დაბადებული ნ.გ. დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ნ.გ.-მ ადამიანებით ვაჭრობის სქემა შეიმუშავა და აღნიშნულის სისრულეში მოყვანისა და შრომითი ექსპლუატაციის გაწევის მიზნით, ოთხ პირს ფსიქოლოგიური ზეწოლითა და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით, მის კუთვნილ ფერმაში ამუშავებდა. ბრალდებული დაზარალებულებს ტერიტორიის დატოვებასა და მობილური ტელეფონით სარგებლობას უკრძალავდა.

ნ.გ. ოთხივე მათგანს აიძულებდა, შეესრულებინათ მისი ნებისმიერი მითითება, თუნდაც ეს არ ყოფილიყო დაკავშირებული მათ ფერმაში მუშაობასთან.

იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულები ბრალდებულის მოთხოვნების შესრულებაზე უარს იტყოდნენ, ან ის უკმაყოფილო დარჩებოდა შესრულებული სამუშაოთი, მათ ფიზიკურად უსწორდებოდა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე პრიმა მუხლის მეორე და მესამე ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტზე ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტზე, ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ორი პირი – 2004 წელს დაბადებული ა.ე. და 2003 წელს დაბადებული ჯ.უ. დააკავეს.

დანაშაული 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

კომპლექსურად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, ჯ.უ.-მ და ა.ე.-მ, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად შეიმუშავეს სხვის კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის გეგმა, კერძოდ: ა.ე. რომელიც დასაქმებული იყო სს „ნიკორა ტრეიდში“, მოლარე კონსულტანტის პოზიციაზე, იმახსოვრებდა სუპერმარკეტ „ნიკორას“ მომხმარებელთა პირად და დაგროვების ბარათის ნომრებს და შემდგომ აწვდიდა მათ ჯ.უ.-ს.

თავის მხრივ, ჯ.უ.-მ, მის კუთვნილ მობილურ ტელეფონში ჩაწერა NIKORA SUPERMARKET-ის აპლიკაცია, სადაც სხვის კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის მიზნით არეგისტრირებდა ა.ე.-ს მიერ მიწოდებულ, ამავე მაღაზიის მომხმარებლების პირად და დაგროვების ბარათის ნომრებს, რის შემდგომაც ჯ.უ. მიდიოდა სს „ნიკორა ტრეიდის“ მაღაზიებში და მოლარეების შეცდომაში შეყვანის გზით, ხარჯავდა მომხმარებელთა ბარათებზე დაგროვილ ქულებს. ქულების გახარჯვის შედეგად მიღებულ სარგებელს კი ინაწილებდა ა.ე.-სთან ერთად.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, სს „ნიკორა ტრეიდს“ მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 286-ე პრიმა მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ აშშ-ის ელჩს უმასპინძლა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზმა, საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, რობინ დანიგანს უმასპინძლა.

ღონისძიების ფარგლებში, ელჩმა შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მხარდაჭერით, ინფრაწითელი სპექტრომეტრი გადასცა.

მხარეებმა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებულ მჭიდრო და ნაყოფიერ ურთიერთობებზე ისაუბრეს და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერების სურვილი გამოთქვეს.

გიორგი ბუთხუზმა, აშშ-ის ელჩს და ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა გაწეული დახმარებისათვის და აღნიშნა, რომ გადმოცემული დანადგარი, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის შესაძლებლობებს.

რობინ დანიგანმა, ღონისძიების ფარგლებში გადმოცემული დანადგარი, მუშაობის პროცესში იხილა და საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ლაბორატორიების მუშაობის სპეციფიკას გაეცნო. გადმოცემული ინფრაწითელი სპექტრომეტრი უზრუნველყოფს სხვადასხვა ასაფეთქებელი, ნარკოტიკული თუ ბოჭკოვანი ნივთიერებების შრეების კვლევას, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის სწრაფ და ეფექტიან გამოძიებას.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო და ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიურო (INL) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან უკვე მრავალი წელია თანამშრომლობს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, კიბერდანაშაულის, ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგის, ტაქტიკური მომზადების, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით.

ევროპის ჩემპიონატის ბილეთების გაყიდვა დაიწყო – როგორ შევიძინოთ და რა ღირს საქართველოს მატჩებზე დასასწრები ბილეთები

15 აპირილიდან, უეფა-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ევროპის ჩემპიონატის ბილეთების გაყიდვის პროცესი დაიწყო. პორტალზე შესასვლელად, საჭიროა შექმნათ პირადი გვერდი, ან ასეთის არსებობის შემთხვევაში, გაიაროთ ავტორიზაცია. მომხმარებლის სრულყოფილი პროფილის შესაქმნელად, საჭიროა პორტალზე არსებული ველების სრულად შევსება – სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი, ან პასპორტის ნომერი, საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელ-ფოსტის მისამართი. იმისთვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბილეთების გაყიდვა გადამყიდველებზე, უეფა-ს გადაწყვეტილებით, ერთ მომხმარებელს მხოლოდ ორი ბილეთის შეძენა შეუძლია.

პორტალზე შესაძლებელი იქნება ოთხი კატეგორიის ბილეთის შეძენა: პირველი კატეგორია – 200 ევრო, მეორე კატეგორია – 150 ევრო, მესამე კატეგორია – 60 ევრო, მეოთხე კატეგორია – 30 ევრო. სასურველი ბილეთის შეძენისთვის, თითოეულ მომხმარებელს 15 წუთი ექნება და პროცესის დასრულების შემდეგ, ელ-ფოსტაზე მოგივათ ბილეთის შეძენის დამადასტურებელი წერილი, ხოლო უშუალოდ ბილეთს, მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე მიიღებთ. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები პირველ შეხვედრას 18 ივნისს, დორტმუნდში, თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს, 22 ივნისს, ჰამბურგში, ჩეხეთს ვხვდებით, ხოლო 26 ივნისს, გელზენკირხენში, პორტუგალიასთან მატჩი გველოდება.

რადგან ევროპის ჩემპიონატზე ვსაუბრობთ, ისიც ვთქვათ, რომ 23 ფეხბურთელის ნაცვლად, მწვრთნელები განაცხადში 26 ფეხბურთელის შეყვანას ითხოვენ, აქაოდა, სეზონის ბოლოა, ხშირია ტრავმები, გადაღლა და 23 ფეხბურთელი ცოტააო. 8 აპრილს, დიუსელდორფში, ევროპის ჩემპიონატზე მონაწილე 24-ვე ნაკრების მთავარი მწვრთნელების შეხვედრა გაიმართა და ამ იდეას მხარი ოცმა მწვრთნელმა დაუჭირა. ახლა უეფა-ს გადასაწყვეტია, დათანხმდება თუ არა მათ მთხოვნას და გადაწყვეტილებას 22 აპრილს გავიგებთ. ისე, ევროპის ჩემპიონატზე გამოძახებული ფეხბურთელების სანაცვლოდ, უეფა ყველა კლუბს კომპენსაციას უხდის, რაც განაცხადში 23 ფეხბურთელის შემთხვევაში, 240 მილიონი ევროა.

„ვალენსიამ“ მამარდაშვილის შემცვლელი იპოვა

გასულ კვირას, ესპანურმა გამოცემებმა, პრიმერადივიზიონში მოასპარეზე მეკარეების ფასები გამოაქვეყნეს და დაადგინეს, რომ დღეისთვის, ესპანური კლუბების ყველაზე ძვირადღირებული დარაჯი გიორგი მამარდაშვილია, რომლის ფასიც 35 მილიონი ევრო გახლავთ. ყველა ხვდება, რომ მამარდა „ვალენსიასთვის“ უკვე ძალიან დიდი ფუფუნებაა და ამიტომ, ზაფხულში, მის სარფიანად გაყიდვას შეეცდებიან. ის, რომ გიორგის გაყიდვას კლუბი სერიოზულად განიხილავს, იქიდანაც ჩანს, რომ „ღამურებმა“ „რაიო ვალეკანოს“ მეკარესთან, სტოლე დიმიტრევსკისთან კონტრაქტი უკვე გააფორმეს და ის თავისუფალი აგენტის სტატუსით დაიმატეს. დიმიტრევსკი კი, კონტრაქტს ხელს არ მოაწერდა, ძირითადში თამაშის გარანტია რომ არ ჰქონდეს და გუნდში მამარდაშვილის არსებობის პირობებში, ამის გარანტია არანაირად არ ექნება. გამოდის, რომ გიოს ზაფხულში აუცილებლად გაყიდიან, მაგრამ სად?

ფრანგული მედია ამტკიცებს, ზაფხულში, „პარი სენ ჟერმენი“ იტალიელ კიპერს, ჯანლუიჯი დონარუმას დაემშვიდობება, რადგან მთავარი მწვრთნელი, ლუის ენრიკე, მისი ასპარეზობით უკმაყოფილოაო და მის შემცვლელად, სწორედ მამარდაშვილს განიხილავენ. თანაც, არაბი შეიხის ხელში, ფრანგებს 35 მილიონი ევროს გადახდა არანაირად არ უნდა გაუჭირდეთ და თუ ეს ტრანსფერი განხორციელდება, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ გიორგის ჩემპიონთა ლიგაზე მუდმივი თამაშის შესაძლებლობა ექნება, ხოლო საფრანგეთის ჩემპიონატში, კლუბთან ერთად მოიგებს ყველაფერს, რისი მოგებაც კი შესაძლებელია.

„King მიქაუტაძე“ – გიორგიმ „მეცს“ მოაგებინა

სწორედ ასეთი სათაური დაარქვა საფრანგეთის ლიგა I-ის ვებ-გვერდმა „მეცი“-„ლანსის“ შეხვედრას, რომელიც ქართველი ფორვარდის, გიორგი მიქაუტაძის ბენეფისად იქცა. მეტიც, სწორედ გიორგის მეცადინეობით, „მეცმა“ ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და მეექვსე ადგილზე მყოფი და ევროთასების საგზურისთვის მებრძოლი „ლანსი“ დაამარცხა. მიქაუტაძემ ზედიზედ მეორე შეხვედრაში შეძლო დუბლის შესრულება და ახლა ყველა აღიარებს, რომ თუ „მეცი“ უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნებას მოახერხებს, ეს სწორედ ჟორჟის დამსახურება იქნება.

„მეცს“ მიმდინარე სეზონში 30 გოლი აქვს გატანილი და აქედან 9 მიქაუტაძის ანგარიშზეა ანუ ლამის გოლების მესამედი და ეს მის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე სეზონის არც თუ მცირე პერიოდი, გიომ „აიაქსში“ გაატარა. იმის მიუხედავად, რომ მისი გუნდი ბოლოდან მეორე ადგილზეა, მიქაუტაძე ბომბარდირებს შორის, 9 გატანილი გოლითა და საგოლე გადაცემით, მერვე ადგილზე იმყოფება, რაც, მისი კლუბის პოზიციიდან გამომდინარე, ცოტა არ იყოს, დაუჯერებელი შედეგია.

კვარაცხელია ისევ საუკეთესოა, „ნაპოლი“ – ისევ არა

იტალიის ჩემპიონატის 32-ე ტურში, ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლიმ“ „ფროზინონეს“ უმასპინძლა და ქულას დასჯერდა. შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა და ორივე გუნდში საუკეთესოდ ქართველი შემტევი აღიარეს. ხვიჩამ მეტოქის კარში ყველაზე მეტჯერ დაარტყა, ხოლო ნეაპოლელებმა ერთი გოლი მისი გადაცემით გაიტანეს. კვარაცხელიას 10 გოლის წილ, სერია A-ს მიმდინარე სეზონში, 6 საგოლე გადაცემა დაუგროვდა და ბომბარდირთა დავაში მეათე ადგილზეა.

უდიდესი ალბათობით, „ნაპოლი“ წელს ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, რადგან ოთხეულთან სხვაობა 10 ქულას შეადგენს და ისე ჩანს, კლუბის პრეზიდენტი, აურელიო დე ლაურენტისი უკვე ახალი სეზონისთვის ემზადება და სურს, კვარაცხელია შეინარჩუნოს. იტალიური გამოცემები ამტკიცებენ, რომ ვიქტორ ოსიმენმა „ჩელსისთან“ კონტრაქტი უკვე შეათანხმა და ზაფხულში გუნდს დატოვებს, კვარას წასვლა კი, „ნაპოლისთვის“ უდიდესი დარტყმა იქნება, თუმცა...

„დე ლაურენტისი ცდილობს, კვარაცხელია შეინარჩუნოს, მაგრამ სასაცილო პირობებს სთავაზობს. კლუბის პრეზიდენტი მზად არის, მას წლიურად 4 მილიონი ევრო გადაუხადოს, რაც ხვიჩას დონის ვარსკვლავისთვის, ძალიან ცოტაა. ამასთან, დე ლაურენტისს 2027 წლამდე მოქმედი კონტრაქტის 2029 წლამდე გახანგრძლივება უნდა და რაც მთავარია, სურს, რომ მის გამოსასყიდ თანხად, 150 მილიონი ევრო ჩაიწეროს, რაც ქართველს არანაირად არ უნდა აწყობდეს“, – წერს იტალიური მედია და მართლაც, იმის გათვალისწინებით, რომ იგივე ოსიმენი, წელიწადში 10 მილიონს იღებს, კვარაცხელიასთვის შეთავაზებული 4 მილიონი, ძალიან, ძალიან ცოტაა.

ლოგიკური გადაწყვეტილება – ასანიძემ ტალახაძე დამალა

გასულ კვირას, ტაილანდის ქალაქ პჰუკეტში, ძალოსანთა შორის, მსოფლიო თასი გაიმართა. ტურნირზე საქართველოს ნაკრების ლიდერი, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო (თუ საუკეთესო არა) ძალოსანი, ლაშა ტალახაძეც იმყოფებოდა, რომელმაც მხოლოდ წარდგენის ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა, ფიცარნაგზე კი არ გასულა და ტურნირში მონაწილეობა არ მიუღია. ასეთი გადაწყვეტილება ნაკრების მწვრთნელმა, გიორგი ასანიძემ მიიღო, რომელმაც აღნიშნა, რომ ოლიმპიადამდე მხოლოდ ოთხი თვეა დარჩენილი და გართულებების თავიდან ასაცილებლად, ლაშამ აუცილებელი მინიმუმი შეასრულა – წარდგენის ცერემონიალს დაესწრო და მერე, უბრალოდ, კონკურენტების გამოსვლას უყურა.

ვაღიაროთ, რომ მწვრთნელის გადაწყვეტილება აბსოლუტურად გამართლებულია. გარდა იმისა, რომ ამით ტრავმის მიღების შესაძლებლობა გამოირიცხა, არ არის აუცილებელი, კონკურენტებმა იცოდნენ, რა წონებთან ჭიდაობდა ტალახაძე და რა მდგომარეობაშია ახლა. თანაც, აღნიშნული მსოფლიო თასის გამარჯვებული სომეხი ძალოსანი, ვარაზდატ ლალაიანი გახდა, რომელმაც ჯამში 463 კილორგამი (ატაცი 210 კგ., აკვრა – 253 კგ.) მოაგროვა და ეს მააშინ, როცა მოქმედი რეკორდი, რომელიც ტალახაძეს ეკუთვნის, 492 კილოგრამია (ატაცი – 225 კგ., აკვრა – 267 კგ.). ძალიან, ძალიან სერიოზული ეჭვი გვაქვს, ლაშა პარიზის ოლიმპიადაზე, ნახევარ ტონას შეუტევს და საშვილიშვილო რეკორდს დაამყარებს, ისეთს, რომელთან ახლოს მისვლაც კი ნებისმიერს გაუჭირდება.

ზიდანი მწვრთნელობას „ბაიერნში“ უბრუნდება

მას შემდეგ, რაც 2021 წელს, ზინედინ ზიდანი მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან საკუთარი ნებით წავიდა, უმუშევარია. თუმცა, გასულ კვირას განაცხადა, რომ ზაფხულში სამწვრთნელო საქმიანობას დაუბრუნდება და უდიდესი ალბათობით, გერმანიის ყველაზე ტიტულოვან კლუბს, „ბაიერნს“ ჩაიბარებს. მიუნხენურ გრანდს ამჟამად ტომას ტუხელი წვრთნის, მაგრამ მის ხელში, გუნდმა ჩემპიონობა ვერ შეინარჩუნა და საეჭვოა, ჩემპიონთა ლიგაზე გააკეთოს რამე. გერმანული მედიის ინფორმაციით, მიუნხენური გრანდის მესვეურები ზიდანს უკვე დაუკავშირდნენ და ის გერმანელთა შეთავაზებას აუცილებლად განიხილავს.

იმავე გერმანული მედიის ცნობით, „ბაიერნის“ მესვეურები მხოლოდ ზიდანის პასუხს არ ელოდებიან და მოლაპარაკებებს ჟოზე მაურინიოსთანაც აწარმოებენ, მაგრამ თუ ფრანგი თანხმობას იტყვის, მას ამ პოსტზე კონკურენტი არ ეყოლება.

წინასიტყვაობასავით, ანუ რას ვაპირებ

ოტია იოსელიანი



გადაწყდა!..

ვიცვამ რკინის ქალამნებს, ვისხამ ნაბადს, ვიხურავ ქუდს, ვიჭერ ხელში რკინის ჯოხს და მივდივარ. მივდივარ მთელი ქვეყნის შემოსავლელად. არ ვიცი, რამდენი დამაგვიანდება, ან როდის დავბრუნდები, არც ის ვიცი, რა ფათერაკს გადავეყრები და რა მელის, რაკი მთელი ზღვა და ხმელეთი უნდა მოვიარო. ვივლი შარა-შარა, ბილიკ-ბილიკ, გავკაფავ უსიერ ტყეებს, გადავივლი თეთრ მწვერვალებს, ყინულოვან ოკეანეთს, ცხელ ტროპიკებს. ვნახავ ცივ ქვეყნებს, თონესავით გავარვარებულ უდაბნოებს, გავტოპავ მდინარეებს, ჭაობებს, გადავცურავ ტბებს, ზღვებს. ვიხეტიალებ უზარმაზარ ქალაქებში, სოფლებში, თვალუწიერ სტეპებში და ველ-მინდვრებში...

ვიმოგზაურებ და სადაც დამიღამდება, იქ გამითენდება. ვივლი ურმით, ცხენით, აქლემით, სპილოთი, ძაღლების მარხილით, ირმით, დელფინით, ვეშაპით...

კუც თურმე იმოდენა იზრდება, მის ბაკანზე თავისუფლად შეიძლება მოთავსდეს ადამიანი; არწივებს, ორბებს ან ფასკუნჯებს შეიძლება თასმები გამოაბა, ჩამოეკონწიალო, აუქნიო სახრე და იფრინო, საითაც მოგეგუნებება. აქამდე სულ მატარებლით, მანქანით, გემით და თვითმფრინავით ვმოგზაურობდი. რამდენი რამ მინახავს, რამდენი ქალაქისა და სოფლისათვის გადამიფრენია.

ზღვაც გადამიცურავს, მდინარეც, მაგრამ რომ მკითხო, რომელ ქვეყანაში, როგორი ბავშვები ან მოზრდილები ცხოვრობენ, რა უჭირთ, ან რა ულხინთ, ვერ გეტყვით. რომელ ტყეში, როგორი ნადირი დაძრწის, არაფერი გამეგება; რომელ ოკეანეში, რომელი თევზი ჭარბობს, წარმოდგენა არა მაქვს; დედამიწის გულში რა ცეცხლი და მდუღარე ტრიალებს, ვულკანებად რომ იფრქვევა, ხომ არ ვიცი და არ ვიცი. ესაა სიცოცხლე? ახლა ისეთი დროა, ვარსკვლავებზე რა ხდება, ის უნდა იცოდნენ და მე ასე თხუნელასავით, როგორ განვვლო წუთისოფელი.

ავდგე, დავლიო ჩაი, ვიმუშაო, ვისეირნო, ვივახშმო, დავწვე და დავიძინო. მეორე დღეს ისევ ჩაი, სადილი, ვახშამი, ძილი...

ყოველდღე, ყოველთვის ერთი და იგივე, აღარ შემიძლია მეტი... გათავდა, მორჩა!

აი, ვიცვამ ქალამნებს. უბრალოს კი არა, რომ გამიცვდეს და თითი გამომვარდეს, არა, რკინის ქალამნებს, ვისხამ ნაბადს – სიცხეში მზისგან დამიფარავს და ყინვაში სიცივისგან. ვიხურავ ნაბდისავე ქუდს, ვიჭერ ხელში რკინის ჯოხს და ვადგები გზას. თან კომპასიც კი არ მიმაქვს. კომპასი მას სჭირდება, ვინც იცის, სახელდობრ, რომელ მხარეში და ქვეყანაში მიეშურება. მე მივდივარ ყველგან, ყველასთან, ყველაფერთან, რაც დედამიწაზეა და კომპასი და რუკა რისი მაქნისია. საათი და კალენდარიც კი არ მიმაქვს. როდის დავბრუნდები, წლის რომელ დროს, არ ვიცი. ამას გარდა, ჩრდილოეთში რომ ზაფხულია, სამხრეთში – ზამთარია, ეკვატორზე კიდევ სულ ცხელა, დღე და ღამე არც იკლებს და არც იმატებს, აბა, კალენდარს რა თავში ვიხლი. არ მიმაქვს არავითარი იარაღი.

შეიარაღებულ კაცს ყველა ეჭვის თვალით უცქერის: თუ სამოგზაუროდ და სამეგობროდ დადის, თოფი და ხანჯალი რად უნდაო. საჭმელ-სასმელი ზურგით იმდენი რა უნდა წავიღო, მთელი ქვეყანა მოვიარო და მეყოს. თითქმის მთლად ცარიელ-ტარიელი ვადგები ამოდენა გზას, თუ რამეს ვიპოვი, თორემ არაფერს დავკარგავ. არ გაგიკვირდეთ და... ერთადერთი ჩემი ტვირთი იქნება გალია. კი, საკმაოდ მოზრდილი გალია მექნება თან, რომელიც საფოსტო მტრედებითაა სავსე. სიმართლე რომ ითქვას, ჩემი სამოგზაურო საზრუნავი ესღა იყო. გადავყევი ამოდენა სხვადასხვაფერი მტრედის შოვნას.

ამდენ ხანსაც ამან შემაყოვნა, თუ არა, გზას რა ხანია დავადგებოდი. ახლა, მადლობა ღმერთს, ბედის სამდურავი არ მესმის. გალიაში სამსართულადა მაქვს ქანდარები განლაგებული და სულ ფერად-ფერადი მტრედებითაა სავსე. დავიჭერ ხელში, გავიდებ მხარზე, ან ზურგზე მოვიკიდებ და რასაც ვნახავ, დავწერ, შევაბამ მტრედს და ჰაიდა, ავუშვებ ცაში. მტრედს ისეთი უტყუარი გუმანი აქვს, არც დაიკარგება და ამბავსაც მოიტანს. ამას გარდა, მტრედებიანი კაცი რომ უცხო ქვეყანას მიადგეს, არა მგონია, ვინმემ კარი ფართოდ არ გაუღოს.

იმიტომ კი არ ვაპირებ ქვეყნის ატალახებას, რომ მერე გავიქაჩო, შემხედეთ, რა დიდი ვინმე ვარ, მთელი დუნია ფეხით მომივლია და დედამიწის გულში რაა, ისიც ვიცი-მეთქი. ცოდნა და გამოცდილება ხალხს თუ არ გაუზიარე და მოახმარე, რკინის ქალამანი რომ რკინის ქალამანია, იმის ღირსიც არა ხარ. გადაწყვეტილი მაქვს, ბარათები ბავშვებმა მიიღონ.

შეიძლება, ჟურნალ-გაზეთებშიც დაბეჭდოს და ის, რასაც მე ვნახავ, თქვენც გეცოდინებათ. დიდები ეჭვიანები არიან, არ დაგიჯერებენ ნათქვამს. შეიძლება, ისეთი რამ ვნახო, მეც არ მჯეროდეს, მაგრამ იმის შიშით, ყურად არავინ იღებს-მეთქი, არ მოვიწერო? უცნაურისა და გაუგონარის ხილვა რომ მინდა, იმიტომ ამოვისხი რკინის ქალამნები.

ბავშვები კი სულ სხვაა: კეთილი, გულდანდობილი და ღვთისნიერი. რაც მოგწეროთ, როგორმე ყურადღებით წაიკითხეთ ან მოისმინეთ, რაკი ადვილად შეიძლება, იმ ბარათის შემდეგ, მგელმა შემჭამოს, ან ზვიგენმა დამფლითოს... მაშ, ასე, აგერ ქალამანზე თასმას ხელახლა ჩავამარყუჟებ, ნაბადს მოვიგდებ, ქუდს ჯერჯერობით თვალებზე ჩამოვიფხატავ, ამ ახლომახლო არავინ მიცნოს და მუსაიფი არ გამიბას, ნაბადიანი კაცი ჩვენს დროში გაგონილაო!

სანამ აქაურობას გავცდები, მტრედებიან გალიასაც კალთის ქვეშ დავმალავ და გავსწევ... თქვენ იცით, თუ თვალ-ყურს ადევნებთ ამ უკიდეგანო დედამიწაზე მოხეტიალე მოგზაურს...

ერთი სიტყვით, თქვენი იმედით ვიქნები.

ყველაზე ძვირადღირებულ შოკოლადს ამზადებენ

ეკვადორული შოკოლადის ბრენდი To'ak, რომელიც კაკაოს იშვიათი და უძველესი ჯიშისგან – Nacional-ისგან მზადდება, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ შოკოლადად დაასახელეს. კაკაო ხელით ირჩევა, რადგან გადამუშავებისას პროდუქტში მხოლოდ საუკეთესო მარცვლები მოხვდეს. კომპანია To'ak ცნობილია, როგორც ნოვატორი შოკოლადის დაძველებაში. ტკბილეული ხის კასრებში ძველდება და ამის გამო ის უნიკალურ გემოს, ფერსა და არომატს იძენს. კომპანიის თანამშრომლები ექსპერიმენტებს ატარებენ არა მხოლოდ დაძველების ტექნიკაში, არამედ, შოკოლადში ისინი ამატებენ არომატოულ ნივთიერებებსაც – კამბოჯურ წიწაკა „კამპოტის", ეკვადორული ხის პალო სანტოს, ან გალაპაგოსის ფორთოხლის არომატებს. შოკოლადი მხატვრულ შეფუთვაშია წარმოდგენილი და ხელნაკეთ ხის კონტეინერშია მოთავსებული. ამ შოკოლადის 50-გრამიანი ფილის ფასი 60-დან 490 დოლარამდე მერყეობს.

„ვეიპები" გულის უკმარისობას იწვევენ

ამერიკელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ელექტრონული სიგარეტების მოხმარება გულის უკმარისობის განვითარების მომატებულ რისკს უკავშირდება – ის 19%-ით იზრდება. მკვლევარებმა გააანალიზეს 175 ათასი ადამიანის მონაცემები, რომელთა საშუალო ასაკი 52 წელი იყო. დაკვირვების პერიოდი 45 თვეს შეადგენდა. ამ დროის განმავლობაში, 3 242 მონაწილეს განუვითარდა გულის უკმარისობა. სტატისკიურმა ანალიზმა და სხვა ფაქტორებზე დაკვირვებებმა აჩვენა, რომ „ვეიპების" გამოყენება ზრდის დაავადების რისკებს ასაკის, სქესისა და თამბაქოს მოხმარების მიუხედავად.

უტელეფონო სტუმრებს ღვინოს ჩუქნიან

იტალიის ქალაქ ვერონაში მდებარე ერთ-ერთი რესტორანი ბოთლ ღვინოს ჩუქნის ყველა სტუმარს, ვინც ჭამის დროს ტელეფონით არ ისარგებლებს. ამ გზით, რესტორატორებს სურთ შექმნან პირობა, რომ დაწესებულების სტუმრები ერთმანეთთან ურთიერთობდნენ და რესტორანში ყოფნით სიამოვნებას იღებდნენ. საჩუქრად ღვინის მისაღებად კლიენტმა საკუთარი „სმარტფონი" ჩასაკეტ ყუთში უნდა დატოვოს. დაწესებულების მფლობელის თქმით, ინიციატივას უკვე მოჰყვა დადებითი გამოხმაურება, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში. აღსანიშნავია, რომ ვერონას რესტორანი ერთადერთი არ არის ამ ბიზნესში, რომელიც მობილური ტელეფონების შეზღუდვას ცდილობს. საფრანგეთის ქალაქ ალბიშიც დაიწყეს უფასო სასმელების დარიგება სტუმრებისთვის, რომლებიც ტრაპეზის დროს უარს ამბობენ ტელეფონების მოხმარებაზე.

ბეზოსმა მესამე სახლი „მილიარდერების ბუნკერში" იყიდა

Amazon-ის დამაარსებელმა და პლანეტის ერთ-ერთმა უმდიდრესმა ადამიანმა, ჯეფ ბეზოსმა, 90 მილიონ დოლარად, მესამე სახლი იყოდა ექსკლუზიურ კუნძულზე ინდიან-კრიკზე, რომელიც მაიამის ახლოს მდებარეობს. გასულ წელს, მილიარდერმა ორი ვილა შეიძინა: ივნისში – 68 მილიონ დოლარად, ოქტომბერში კი – 79 მილიონად. ბეზოსის მესამე სახლი მათგან კუნძულის საპირისპირო მხარესაა. ბეზოსის მეზობლები არიან დეველოპერი ჯეფ სოფერი და ნაციონალური საფეხბურთო ლიგის ლეგენდა, ტომ ბრედი. კუნძული ინდიან-კრიკი, რომელიც სამხრეთ ფლორიდასთან, ბისკეინის ყურეში მდებარეობს, „მილიარდერების ბუნკერის" სახელით არის ცნობილი. იქ უმდიდრესი და ცნობილი ადამიანების, ასევე, ბიზნეს-მაგნატების სახლები მდებარეობს. დიდ მიწასთან კუნძულს ერთადერთი ხიდი აკავშირებს, რომელსაც პოლიცია 24 საათის განმავლობაში იცავს. იქ მდებარე ვილების საშუალო ფასი 30 მილიონი დოლარია, სულ კი კუნძულზე 40 ადამიანი ცხოვრობს. ინდიან-კრიკს „მსოფლიოში ყველაზე ექსკლუზიურ მუნიციპალიტეტს" უწოდებენ. კუნძულის რეზიდენტები არიან: ბიონსე, კარლ კუშნერი და მისი მეუღლე, ივანკა ტრამპი. ფეხბურთის ვარსკვლავი ბრედი და მისი ყოფილი მეუღლე, ბრაზილიელი სუპერმოდელი ჟიზელ ბუნდშენი კი რაიონში „ეკო-ვილას" აშენებდნენ, ვიდრე გაეყრებოდნენ.

ბეზოსისთვის ეს ერთადერთი ძვირადღირებული უძრავი ქონება არ არის. 2022 წელს, მილიარდერმა 78 მილიონ დოლარად ჰავაიზე, კუნძულ მაუიზე მამული შეიძინა.მას აქვს სახლები მანჰეტენზე, ელიტურ მეხუთე ავენიუზე, 2016 წელს, 23 მილიონად ვაშინგტონში ტექსტილის ყოფილი მუზეუმი შეიძინა, მერე კი მის საპირისპიროდ მდგარი შენობა გამოისყიდა, რადგან იქიდან ღია ხედი იშლებოდა მუზეუმის ქონებაზე. მილიარდერებს ხომ კონფიდენციალურობა უყვართ...

მონროს მეზობელ სამარხს აუქციონზე ჰყიდიან

ლოს-ანჯელესში, ცნობილ სასაფლაო ვესტვუდზე მდებარე ნიშა, რომელიც მერლინ მონროს ნიშის გვერდით მდებარეობს, აუქციონზე იყიდება. აქვე მდებარეობს ჟურნალ Playboy-ის დამაარსებლის, ჰიუ ჰეფნერის სამარხიც. სწორედ ამ ჟურნალის პირველი ნომრის ყდაზე გამოჩნდა მერლინი. ამ სახელოვანი ადამიანების მეზობლად დამარხვის უფლების მოსაპოვებლად, მსურველმა 200-დან 400 ათას დოლარამდე უნდა გადაიხადოს. ვაჭრობაზე, რომელსაც Julien's Auctions-ის სახლი აწყობს, გაიყიდება მერლინ მონროსა და ჰეფნერის ნივთები, მათ შორის, 1953 წელს გამოცემული პირველი ჟურნალის ყდაც – მონროს ფოტოთი, ასევე, ელიზაბეტ არდენის ბრენდის ნარინჯისფერი ტუჩსაცხი, რომელსაც იმავე წელს, მსახიობი ხმარობდა. სკლეპის სასტარტო ფასი 50 ათასი დოლარია, თუმცა აუქციონის სახლის წარმომადგენლების ვარაუდით, მისი ფასი, სულ მცირე, ოთხჯერ მაინც გაიზრდება.

აუქციონზე უძველესი წიგნი გაიყიდება

წიგნი ეგვიპტიდან, რომელიც ქრისტიანობის გარიჟრაჟზეა დაწერილი და დღეს არსებულს შორის, ერთ-ერთ უძველეს წიგნად მიიჩნევა, ივნისში, ლონდონში, აუქციონზე გაიყიდება. Reuters-ის ცნობით, საუბარია წიგნზე, რომელიც პაპირუსზე, კოპტურ ენაზეა დაწერილი, დახლოებით, 250-350 წლებში და ის ერთ-ერთ პირველ ქრისტიანულ მონასტერში შეიქმნა. Christie's-ის ინფორმაციით, მისი სავარაუდო ღირებულება 2.6-3.8 მილიონ დოლარს შეადგენს. აუქციონის სპეციალისტის, ეუჯენიო დონადონის თქმით, პაპირუსი წარმოადგენს ბიბლიის ორი წიგნის ადრეულ ცნობილ ტექსტებს. 52 ფურცელი (104 გვერდი) ერთმა გადამწერმა შეასრულა 40 წლის განმავლობაში, ეგვიპტის ერთ-ერთ მონასტერში. პაპირუსი შეიცავს პეტრეს პირველ წერილს და იონას წიგნს. ეს უძველესი წიგნი ეგვიპტეში გასული საუკუნის 50-იან წლებში აღმოაჩინეს, რომელიც მისისიპის უნივერსიტეტმა შეიძინა. იქ ის 1981 წლამდე დარჩა. სიძველე ხელნაწერთა ნორვეგიელმა კოლექციონერმა, მარტინ შოიენმა 1988 წელს შეიძინა, ახლა კი მას აუქციონიზე ყიდის, საკუთარი კოლექციის სხვა ექსპონატებთან ერთად.

გარეცხილმა ბილეთმა მსხვილი მოგება დააკარგვინა

ჩინეთში, ქალაქ ტაიჩუოს მცხოვრებმა ქალმა, მის აიმ ლატარიაში მნიშვნელოვანი თანხა – 6.81 მილიონი იუანი (დაახლოებით, 940 ათასი დოლარი) მოიგო. თუმცა, მან ვერ მოახერხა ამ უზარმაზარი თანხის მიღება, რადგან ბედნიერი ბილეთი ტანსაცმელთან ერთად გარეცხილი და ნაკუწებად დაშლილი აღმოჩნდა. როცა ლატარიის შედეგები გამოცხადდა, მის აი მიხვდა, რომ ბედმა გაუღიმა, რადგან საკუთარი ბილეთის ციფრები ახსოვდა. მაშინვე ბილეთის შარვლიდან ამოღება გადაწყვიტა, თუმცა გაახსენდა, რომ ის სარეცხ მანქანაში იყო. უბედურება ის იყო, რომ შარვალი უკვე მესამედ ირეცხებოდა. შიგ ჩარჩენილი ბედნიერი ბილეთი კი იქიდან ნაკუწ-ნაკუწ ამოიღო. ქალმა მაინც სცადა ბედი და ლატარიის ცენტრში დარეკა, თუმცა განუცხადეს, რომ თანხას მხოლოდ მთლიანი ბილეთის წარდგენის შემთხვევაში მიიღებდა.

ყურსასმენებმა დააყრუა

ჩინეთში მცხოვრებმა ქალმა, ვანგმა სმენა მას შემდეგ დაკარგა, რაც ორი წლის განმავლობაში, ყურსასმენებით იძინებდა. ქალის თქმით, სხვაგვარად ვერ იძინებდა. მოგვიანებით, სმენასთან დაკავშირებული პრობლემები შენიშნა და ექიმთან წავიდა ყურების შესამოწმებლად. საფუძვლიანმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ პაციენტს მარცხენა ყურის სმენის შეუქცევადი ნევროლოგიური დაზიანება ჰქონდა. ვანგმა ექიმთან აღიარა, რომ ორი წელი, ყოველ საღამოს მხოლოდ ყურასასმენებით უსმენდა მუსიკას. ეს ჩვევად მექცა, – განაცხადა პაციენტმა. სპეციალისტების თქმით, ვანგს სმენის დაქვეითების კომპენსირება სმენის აპარატით შეუძლია, სხვებს კი ურჩევენ, არ მიბაძონ მას.

ახალი წამალი ეპილეფსიის წინააღმდეგ

მეცნიერები აპირებენ, უახლოესი ათი წლის განმავლობაში, წარმოებაში ჩაუშვან ახალი პრეპარატი, რომელიც ეპილეფსიით დაავადებულ ადამიანებს დაეხმარება. აბებს ზუსტად ისევე მიიღებენ, როგორც ჩვენ ვიღებთ ჩვეულებრივ ანალგეტიკებს – თავის ტკივილისას. ამჟამად, დაახლოებითი გათვლებით, მთელ მსოფლიოში, 50 მილიონამდე ადამიანია ეპილეფსიით დაავადებული. მათგან 70% დადებითად რეაგირებს ანტიეპილეპტიკურ პრეპარატებზე, რომელსაც 2-5 წლის განმავლობაში იღებენ. ამის შემდეგ ბავშვების 70 და მოზრდილების 60%-ს შეუძლია შეწყვიტოს მათი მიღება. იმ პაციენტებს, რომლებიც არ რეაგირებენ მკურნალობაზე, შეუძლიათ ოპერაციული ჩარევა აირჩიონ. ბრიტანელი მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ მათ მიერ შემუშავებული ანტიკონვულსანტი რეზისტენტული ეპილეფსიის მქონეთ დაეხმარება. ეს ინოვაციური კვლევა, რომელიც ჯერ მხოლოდ მღრღნელებზე ჩატარდა, ტვინის უჯრედებს უფრო მგრძნობიარეს ხდის გარკვეული ნაერთის მიმართ. ამჟამად, მძიმე კრუნჩხვებს მკურნალობენ პრეპარატის დახმარებით, რომელიც ახშობს თავის ტვინის ყველა უჯრედის აღგზნებას, რაც უარყოფით ეფექტებსაც იწვევს. ბრიტანელი სწავლულები იმედოვნებენ, რომ მომავალი ათი წლის განმავლობაში, შეძლებენ კლინიკებში მკურნალობის ახალი მეთოდის დანერგვას მოდიფიცირებული ვირუსის ერთადერთი ინექციის მეშვეობით.

საპონი უშვილობას იწვევს?

სწავლულებმა განაცხადეს, რომ ქიმიური ნივთიერებები, რომელიც მზის დამცავ კრემებში, კბილის პასტებში, საპონსა და ბავშვებისთვის განკუთვნილ სათამაშოებში გვხვდება, მამაკაცებში უნაყოფობას იწვევს. თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტ წყვილს აქვს პრობლემები შვილის გაჩენის საკითხში, მათგან 50% კი, ძირითადად, მამაკაცების უშვილობას უკავშირდება. ცოტა ხნის წინ, გერმანელმა და დანიელმა სწავლულებმა ეს პრობლემა შეისწავლეს და დაადგინეს, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი ყველასთვის ნაცნობი ჰიგიენური საშუალებები და პლასტმასის სათამაშოებია. მკვლევარებმა თითქმის 100 ჰიგიენური საშუალება შეამოწმეს, რომელსაც ადამიანი ყოველდღიურად მოიხმარს და აღმოაჩინეს, რომ მათგან მესამედი სპერმის თვისებების გაუარესებას იწვევს. სწავლულთა განცხადებით, ზოგიერთი ნივთიერება გაცილებით უფრო მავნე აღმოჩდა, ვიდრე წარმოიდგენდნენ.

ყველაზე ეკოლოგიური ქალაქები გამოავლინეს

უახლესი The Global Destination Sustainability Index-ის მიხედვით, გამოვლინდა მსოფლიოს ქალაქები, რომლებიც უკვე დღეს ისწრაფვიან მდგრადი მომავლისკენ, როცა ატმოსფეროში ნაკლები დაბალი ნახშირბადი გამოიფრქვევა. რეიტინგის შედგენისას გაითვალისწინეს ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა ნარჩენების გადამუშავების, ჰაერის დაბინძურების დონე, ველობილიკების რაოდენობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ეკოლოგიურობა და სასტუმროებში ნომრების პროცენტიც კი, რომელთაც „ეკოლოგიურად სუფთა“-ს სერტიფიკატები აქვთ. სიას სათავეში შვედეთის ქალაქი გიოტებორგი უდგას, რომელიც 2016-2021 წლებში უკვე აღიარებული იყო ყველაზე ეკოლოგიურ ქალაქად. იქ საუკეთესო პირობებია ელექტროტრანსპორტის მფლობელებისთვის, პრაქტიკულად, მთელი საზოგადოებრივი ტრანსპორტი კი განახლებადი ენერგიის წყაროებზე მუშაობს. ასევე, ქალაქში აქტიურად ებრძვიან ერთჯერადი ჭურჭლისა და პლასტიკის გამოყენებას. მეორე ადგილზე ნორვეგიის დედაქალაქი ოსლოა, დანიური კოპენჰაგენი სტაბილურად ინარჩუნებს მესამე ადგილს, ფინეთის დედაქალაქმა – ჰელსინკი კი მე-12 საფეხურიდან მე-4-ზე გადაინაცვლა. საკუკეთესო ეკოლოგიური ქალაქების სიის ათეულში მოხვდნენ ნორვეგიული ბერგენი, დანიური ორჰუსი, ბრიტანული გლაზგო, ფრანგული ბორდო და შვედეთის დედაქალაქი სტოკჰოლმი. როგორც ხედავთ, ყველაზე მეტად ეკოლოგიაზე სკანდინავიური და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები ზრუნავენ.

ვაკუუმური შეფუთვა ჯანმრთელობისთვის საშიშია

დანიელი სწავლულების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ვაკუუმური შეფუთვა იდეალური ადგილია საშიში მიკრობების გამრავლებისთვის. მკვლევარებმა ლაბორატორიული ცდები ჩაატარეს, რომლის დროსაც მიკროორგანიზმ Listeria Monocytogens-ის ქცევას სწავლობდნენ სხვადასხვა საკვებ პროდუქტებში. კვლევამ აჩვენა, რომ უჟანგბადო პირობებში, ბაქტერია 14-ჯერ აგრესიული ხდება და შეუძლია ზრდა ვაკუუმურ შეფუთვაში მაშინაც კი, როცა პროდუქტი საყინულეშია. მეცნიერები ამბობენ, რომ ეს ბაქტერია ვაკუუმში თითქმის ისევე იქცევა, როგორც ნაწლავებში – აგრესიული ხდება. მკვლევარები გვირჩევენ, პროდუქტი ჩვეულებრივი სახით ვიყიდოთ, ვაკუუმური შეფუთვა კი მგზავრობისა და პიკნიკებისთვის გამოვიყენოთ.

„ჩრდილიანი ადგილისთვის“ ზედმეტს გადაიხდიან

სინოპტიკოსების პროგნოზებით, მომავალი ზაფხულიც არანაკლებ ცხელი იქნება. ზოგიერთ პოპულარულ ტურისტულ ქვეყნებში გადაწყვიტეს, ეს ფაქტი სათავისოდ გამოიყენონ და ამაზეც ცოტა ფული „გააკეთონ“. ასე, მაგალითად, ესპანურ ანდალუსიაში დაადგინეს, რომ რესტორატორებს კანონიერი უფლება აქვთ, დამატებითი გადასახადი მოითხოვონ ჩრდილში, ან მზეზე მდგარი მაგიდებისთვის. თუმცა, არის ერთი მნიშვნელოვანი წესი, რომელიც აუცილებლად უნდა დაიცვან – კლიენტები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებულები, ვიდრე შეკვეთას მისცემენ, რომ ამ ზონებში ფასი მომატებული იქნება. მენიუში არ იქნება ცალკე გადასახდი ამა თუ იმ ხედის ან მდებარეობის მაგიდებზე, თუმცა რესტორნების მფლობელებს ნებას მისცემენ, დამატებითი თანხა მოითხოვონ ამა თუ იმ ზონაში მიტანილ ყოველ კერძზე, თუკი ეს მკაფიოდ იქნება მითითებული პრეისკურანტში.

სპრეი მამაკაცს მომხიბვლელობას ანიჭებს

გერმანიაში ახალი სპრეი შეიმუშავეს, რომელიც შეიცავს სინტოცინონს – ოქსიტოცინის სინთეტიკურ ანალოგს. ესაა ეგრეთ წოდებული სიყვარულის ჰორმონი, ის ადამიანის ტვინში გამოიყოფა, როცა შეყვარებულია. პრეპარატი უკვე გამოსცადეს სუსტი სქესის წარმომადგენლებზე. მისი შესუნთქვისას, მათი მეგობარი მამაკაცები უფრო მიმზიდველები და მომხიბვლელები ეჩვენებოდათ. შესაბამისი კვლევა ბონის უნივერსიტეტის სწავლულებმა ჩაატარეს. ექსპერიმენტში 20-დან 30 წლამდე 40 ქალი მონაწილეობდა და ყველა მათგანი შეყვარებული იყო. მათ ნახევარს სინტოცინონის შემცველი სპრეი შეასუნთქეს, დანარჩენებს კი _ პლაცებო. შემდეგ კი პირიქით, პირველს პლაცებო მისცეს, მეორეს _ სპრეი. აღმოჩნდა, რომ სპრეის შეუნტქვის შემდეგ, გოგონებს მათი პარტნიორები 15%-ით უფრო მიმზიდველები ეჩვენებოდათ. აღსანიშნავია, რომ ამ ახალ საშუალებას გავლენა არ მოუხდენია იმ მანდილოსნებზე, რომლებიც კონტრაცეპტივებს იღებდნენ. სპეციალისტები გვაფრთხილებენ, რომ სპრეის გამოყენება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაშია მიზანშეწონილი, რადგან მან შეიძლება გავლენა მოახდინოს გულის რიტმზე, გამოიწვიოს ღებინების შეგრძნება, ტავის ტკივილი და ორსულობისას მუცლის მოშლაც კი.

ფეხის პლასტიკა მოდური ფეხსაცმლისთვის

შეერთებულ შტატებში საკმაოდ პოპულარულია ფეხის ტერფის პლასტიკური ოპერაცია და სულ უფრო საგანგაშო ხდება სტატისტიკა. პლასტიკურ ქირურგებს ქალები მოდური ფეხსაცმლით ხელში აკითხავენ და სთხოვენ, ისეთი ფორმის ტერფი გაუკეთონ, რომ ნებისმიერი სასურველი ფეხსაცმლის ჩაცმა შეძლონ. ბევრმა იცის, ალბათ, ძველ დროში, ჩინეთში, როგორ ამახინჯებდნენ იქაურ გოგონებს, რომ ფეხის ზრდა შეეჩერებინათ. ფაქტობრივად „მომტვრეული“ ტერფის გამო, ისინი ნორმალურად ვეღარ დადიოდნენ, მაგრამ სამაგიეროდ, კარგად თხოვდებობდნენ. როგორც ჩანს, ამ მხრივ დრო არ იცვლება და სუსტი სქესის წარმომადგენლები კვლავ მზად არიან, სილამაზისთვის მსხვერპლი გაიღონ და ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნან. ამერიკელი ქირურგები ჰყვებიან, როგორ უმოკლებენ ფეხის თითებს გოგონებს, რადგან გარკვეული „დეფექტი“ მათ ხელს უშლის სასურველი ფეხსაცმლის მორგებაში. თავდაპირველად, ასეთ პლასტიკურ ოპერაციებს უფრო მოდელები მიმართავდნენ, რომელთაც უჭირდათ ჩვენებების დროს სხვადასხვა ფეხსაცმლის მორგება – ზოგს ფეხის დიდი ზომა უშლიდა ხელს, ზოგს მაღალი „პადიომი“ და ასე შემდეგ. მედიკოსებმა ტერმინიც კი გამოიგონეს – „მაღალი ქუსლისთვის მომზადებული ფეხის ტერფი“ მათთვის, ვისაც სხეულის ეს ნაწილი მოდური მიდრეკილებების შესაბამისი აქვს.

კაფეში საფასურს ვარჯიშით იხდიან

ნისლიან ალბიონზე, ლონდონში, ფიტნეს-კლუბების ქსელმა – David Lloyd Clubs, კაფე გახსნა, სადაც მირთმეული კერძების საფასურის გადახდა ფიზიკური ვარჯიშების შესრულებით არის შესაძლებელი. როგორც ადგილობრივი მედია წერს, უფასო ლანჩის მისაღებად 6-წუთიანი, ინტენსიური პროგრამის შესრულებაა საჭირო – ჩაჯდომები, პრესის ვარჯიშები, აზიდვები, სარბენი ბილიკი და ველოტრენაჟორი. დასაშვებია 30-წამიანი დასვენება სხვადასხვა სახის ვარჯიშებს შორის. ცხოვრების ჯანსაღი წესის მომხრეები ამგვარი თავდადებისთვის შესანიშნავ საკვებს იღებენ – პიტა ბოსტნეულით, შებოლილი ორაგული ან შემწვარი ყველი „ჰალუმი“, სასარგებლო წახემსებისთვის ნიგოზი და ხილიც ეძლევათ. კაფეს ფინანსურად მხარს უჭერს საქველმოქმედო ორგანიზაცია British Heart Foundation.

ჩანთა არომატებს მალავს

ამერიკული კომპანია Annabis style, ქალის ელიტურ ჩანთებსა და „კლატჩებს“ ჰყიდის, რომელთაც მათში არსებული ნივთების, მათ შორის, კანაფის სუნის დაფარვა შეუძლიათ. ჩანთები, რომლებიც იტალიური ტყავისგან არის დამზადებული, საიდუმლო განყოფილებებით არის აღჭურვილი, „სუნების დამბლოკავი პატარა ინოვაციებით“. მათ შორის – ჰერმეტული ელვა-შესაკრავი და სარჩულის ქვეშ ფისით გაჟღენთილი ფენა. ეს სიახლე, ავტორების თქმით, მფლობელს საშუალებას აძლევს, ჩანთით ატაროს ყველაფერი, თუნდაც ფრანგული ყველი ან ეგზოტიკური მცენარეები. ჩანთები ჯერჯერობით სამ ვარიანტად _ ოქროსფერის, შავისა და კრემისფერის სახით არის წარდგენილი, მათი ფასი 120-დან 295 დოლარამდე მერყეობს.

შრომისმოყვარეობა მავნებელია?

ზედმეტი შრომისმოყვარეობა ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, – დაასკვნეს ყველაფრის მკვლევარმა ბრიტანელმა სწავლულებმა. სპეციალისტები ნისლიანი ალბიონიდან ირწმუნებიან, რომ 11-საათიანი სამუშაო დღის დროს, ინფარქტის მიღების ალბათობა 70%-ით იზრდება. კვლევა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიმდინარეობდა და მეცნიერები სხვადასხვა სფეროში მომუშავე ადამიანებს აკვირდებოდნენ. შედეგად, ცნობილი გახდა, რომ ის, ვინც დღეში 11 საათს მუშაობს, გულის დაავადებების განვითარების რისკი ეზრდება. ამიტომ, სწავლულებმა ზედმეტი შრომისმოყვარეობა ნიკოტინს, ალკოჰოლსა და ნარკოტიკს გაუთანაბრეს.

მაცდუნებელი შეთავაზება სასტუმროსგან

მოგზაურებისთვის განკუთვნილი საიტი Winston Club, ტურისტებს სთავაზობს სასტუროებში 50%-იან ფასდაკლებას იმ პირობით, თუკი ნომერში უცხო ადამიანთან ერთად იცხოვრებენ. ამ მაცდუნებელი შეთავაზებით სარგებლობა წლის დასაწყისიდან უკვე ძალაშია. ტურისტებს შეუძლიათ, თავად აირჩიონ ერთ-ერთი სასტუმრო სიეტლიდან, ლას-ვეგასიდან, პორტლენდიდან, სან-ფრანცისკოსა და ლოს-ანჯელესიდან. მას შემდეგ, რაც იაფად მოგზაურობის მსურველი საკუთარი ვოიაჟის მონაცემებს შეიყვანს საიტზე, მას ავტომატურად შეურჩევენ ოტახის მეზობელს. ამასტან, გათვალისწინებული იქნება ტურისტის ინტერესები და ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ის რეგისტრაციისას მიუთითებს. ეს იდეა საიტის დამფუძნებელს ბაირონ შენონს მაშინ დაებადა, როცა ერთ-ერთი მოგზაურობისას, იაფფასიანი და უსაფრთხო ადგილი ვერ იპოვა ღამის გასათევად.

წყალს ჰაერიდან იღებენ

ზაფხულის ცხელ დღეს, ერთი ბოთლი წყლის ჰაერიდან მიღება ახლა ძალიან მარტივად შეიძლება, ყოველგვარი ფოკუსების გარეშე. ავსტრიელმა გამომგონებელმა, კრიშტოფ რეტეზარმა შექმნა მოწყობილობა Fontus, რომელიც ჰაერიდან წყლის კონდენსირებას ახდენს. კრიშტოფმა საკუთარ გამოგონებაში სპეციალური ჰიდროფობული თერმოელექტრული ზედაპირი გამოიყენა, რომელიც ეფექტურად აგროვებს შეგროვებულ წყალს. სითხე, ფილტრის გავლით, ბოთლში ჩაედინება. წყლის მოგროვების პერიოდი ჰაერის ტემპერატურასა და ტენიანობაზეა დამოკიდებული. როცა ეს მაჩვენებლები მაღალია, მოწყობილობა ნახევარ ლიტრ სასმელს ერთ საათში აგროვებს, ცივ ამინდში, ან მშრალი ჰაერის დროს, ამაზე უფრო მეტი დრო იხარჯება. ველოსიპედით გადაადგილებისას, ჰაერის ნაკადი უფრო ძლიერია და წყალიც სწრაფად გროვდება. Fontus-ის წარმოებაში ჩასაშვებად გამოგონებელი თანხას ინტერნეტით აგროვებს. მოწყობილობის სავარაუდო ღირებულება, დაახლოებით, 100 დოლარი იქნება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.